გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N5 (9221) 20 თებერვალი. 2017 წელი ფასი 50 თეთრი

„ცენტრალური ხელისუფლება თუ ვერ დააფინანსებს, თანხას ადგილობრივ ბიუჯეტში გამოვნახავთ"

2

წერითი დავალება 15 ვაკანტურ პოზიციაზე დასანიშნად

ნაღმი, რომელიც სოციალურად დაუცველებისთვის ჩაიდო

3

სანუკვარი თასი კუნძულ ოკინავადან

4

რუსთაველის ლექსად ნათქვამი სიყვარულის ამბავი

6

„სამტრედიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ყველაზე აქტიურია"

8

ოი, ში ლოქინის ჯაფო....

„კარგია, რომ ბევრნი ვართ"

5

2

„კონსერვატორები" მრავალშვილიან ოჯახებს ეხმარებიან

წერითი დავალება 15 ვაკანტურ პოზიციაზე დასანიშნად

ნინო ნანიტაშვილი

14 თებერვალს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმო დარბაზში საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსის მე-2 ეტაპი გაიმართა, რაც გულისხმობდა წერით დავალებას. კითხვები საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ წინასწარ იქნა შერჩეული.

შეგახსენებთ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2016 წლის დეკემბერში 15 ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსი გამოაცხადა. პირველი ეტაპი, საბუთების გადარჩევა 2017 წლის იანვარში დასრულდა. რაც შეეხება მომდევნოს, მეორე ეტაპზე გადასული 69 აპლიკანტიდან წერით გამოცდაზე 33 გამოცხადდა. დავალების შესასრულებლად მათ 3 საათი ჰქონდათ გამოყოფილი.

წერითი გამოცდა 2 ნაწილად ჩატარდა, პირველი 10 საათზე გამოცხადდა, ხოლო მეორე ნაკადი _ 14 საათზე. წერითმა გამოცდამ ყოველგვარი გართულებების გარეშე, მშვიდ გარემოში ჩაიარა. პრეტენზია არ დაფიქსირებულა.

მარინა თევზაძე: "დავრეგისტრირდი ქალაქის ტერიტორიულ ერთეულში სპეციალისტის პოზიციაზე. პირველი ეტაპი წარმატებით გადავლახე. ვფიქრობ, მეორე _ წერითი გამოცდაც კარგად მაქვს შესრულებული. ველოდებით დადებით შედეგს, რადგან ის საკითხები იყო, რასაც რამდენიმე ათეული წელია, ყოველდღიურად ვასრულებ".

დავით მანჯგალაძე: "მსურს დავინიშნო საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში მედიასთან ურთიერთობის სპეციალისტის პოზიციაზე. წერითი დავალება საკმაოდ მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა. კონკურსანტებს ყველანაირი პირობა გვქონდა შექმნილი, ჩვენი ცოდნა და უნარები კარგად გამოგვევლინა".

საბოლოო შედეგების გამოცხადების კონკრეტული თარიღი, ჯერჯერობით, არ სახელდება, საკონკურსო-საატესტაციო კომისია ნაშრომების გასწორებას 15 თებერვლიდან შეუდგა.

მუნიციპალიტეტის გამგეობაში განგვიმარტეს, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას საბოლოო გადაწყვეტილება 28 მარტამდე ექნება მიღებული იმ კონკურსის შედეგებზე, რომელმაც 15 ვაკანტურ პოზიციაზე დასანიშნი გამარჯვებული კონკურსანტი უნდა გამოავლინოს. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომელიმე პოზიცია ისევ ვაკანტური დარჩეს.

"სამტრედიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ყველაზე აქტიურია"

ნინო ნანიტაშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია "სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრმა", გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, 16 თებერვალს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმო დარბაზში გამგებლის სათათბირო ორგანოს _ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებისთვის ტრეინინგი ჩაატარა თემაზე "საბჭოს როლი ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში".

ტრენინგი ჩაატარეს მამუკა აბულაძემ და კონსტანტინე კანდელაკმა. მათ შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს მრჩეველთა საბჭოს შექმნის იდეა, უფლებამოსილებები, მისი როლი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მომზადების, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წინადადებების შემუშავების, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების წინასწარი მომზადების და განხილვის პროცესში.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ერთად ტრენერებმა იმსჯელეს სამტრედიაში მრჩეველთა საბჭოს მიერ მუშაობის პროცესში უკვე მიღებულ გამოცდილებაზე და შესაძლო სამომავალო აქტივობებზე, ასევე გააცნეს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების უცხოური გამოცდილება. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები დაინტერესდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისა და დეცენტრალიზაციის პროცესის პერსპექტივებით და ხელისუფლების სამომავლო ხედვებით.

"სამტრედიის მაცნემ" შეხვედრის ბოლოს კომენტარი სთხოვა მამუკა აბულაძეს: "ტრეინინგი ძალიან საინტერესოდ წარიმართა არა მარტო მონაწილეთათვის, არამედ ტრენერებისთვის, რამდენადაც სამტრედიის სამოქალაქო საბჭოს მიერ ამ მოკლე პერიოდში მიღებული გამოცდილების შესახებ ინფორმაცია გამოგვადგება სხვა მუნიციპალიტეტებში გასაზიარებლად. ჩვენ უკვე ტრეინინგი ჩავუტარეთ ქალაქ ქუთაისის, წყალტუბოსა და ბაღდათის მრჩეველთა საბჭოებს. მინდა, გითხრათ, მათ სამტრედიელებისნაირი გამოცდილება არ გააჩნიათ. ცენტრალური ხელისუფლება გეგმავს, რომ არასამთავრობო სექტორთან ერთად ხელი შეუწყოს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვადასხვა ფორმატის დანერგვის ხელშეწყობას, მათ შორის მრჩეველთა საბჭოების მუშაობის გააქტიურებას, კარგი პრაქტიკის წარმოჩენასა და გაზიარებას ქვეყნის მასშტაბით".

"კონსერვატორები" მრავალშვილიან ოჯახებს ეხმარებიან

ნათია ნაცვლიშვილი

"კონსერვატიული პარტიის" წევრებმა სოციალურად შეჭირვებული მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ტრადიცია დაამკვიდრეს. სულ ახლახან პარტიის რაიონული ორგანიზაციის წევრები ლესელიძის ქუჩაზე მცხოვრებ გოგიშვილების მრავალშვილიან ოჯახს ეწვივნენ და კვების პროდუქტები და ტკბილეული გადასცეს. ოჯახში ექვსი ბავშვია, ექვსივე მათგანი მეორე საჯარო სკოლის (დირექტორი თეა კარტოზია) მოსწავლეა. უმცროსი პირველკლასელია, უფროსი კი მეთერთმეტეკლასელი. "კონსერვატიული პარტიის" ლიდერებს გაწეული დახმარების გამო ჩვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადაუხადა ოჯახის დიასახლისმა, რუსუდან გოგიშვილმა: "ყველას უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ჩვენი დაფასებისათვის. ოჯახში ამჯერად შვიდი ბავშვია, ბავშვები კარგად სწავლობენ. ოჯახი სოციალურად დაუცველია. ძალიან კმაყოფილნი ვართ, რომ გვესტუმრეთ და დაგვაფასეთ.

კობა ძიძიგური, "კონსერვატიული პარტიის" იმერეთის რეგიონის ორგანიზაციის თავმჯდომარე: "ჩვენ ვცდილობთ, დავეხმაროთ ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს. ორ-სამ ოჯახს ვეხმარებით ყოველთვიურად. ახალი წლიდან მოყოლებული სამ ოჯახს გაეწია დახმარება, აქცია გრძელდება". სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება _ კონსერვატორების " თავმჯდომარე, რაჟდენ ტორონჯაძე ამბობს, რომ პარტია მსგავს აქციებს კვლავ გეგმავს მომავალში."

ირმა შველიძე, "კონსერვატიული პარტიის" ქალთა ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე: "ჩვენ ვცდილობთ, დახმარება გავუწიოთ ჩვენს შეჭირვებულ მოსახლეობას. სულ ახლახან პაატა ბუაძის 5 შვილიან ოჯახს დავეხმარეთ. ასეთ აქციებს მომავალშიც გავაგრძელებთ."

ნალმი, რომელიც სოციალურად დაუცველებისთვის ჩაიდო

ქეთევან ჭელიძე

სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროს ნინო ჭიღლაძისთვის რეგიონში სამტრედია მორიგი მუნიციპალიტეტია, სადაც მან საქმიანი შეხვედრა გამართა. მიზეზი მოძალებული პრობლემები და პრეტენზიებია, რითაც მოსახლეობა ხშირად მიმართავს შესაბამის ინსტანციებს და, რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას. საქმე სოციალურად დაუცველთა ბაზაში სამართლიან მოხვედრა-არმოხვედრას ეხება. როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია აღნიშნავს, აქამდე არსებული შეფასების ფორმულა უსარგებლო იყო და საზოგადოების მდგომარეობას სათანადოდ ვერ პასუხობდა.

საქართველოს მთავრობის № 758 დადგენილებით 2014 წლიდან სოციალურად დაუცველთა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგია დამტკიცდა. მიუხედავად ამისა, ძალაში დარჩა საქართველოს მთავრობის 30 მარტის დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად შესწავლილი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი სარეიტინგო ქულა. ამ უკანასკნელის მიხედვით განსხვავდება შემწეობის რაოდენობაც, კონკრეტულად: 30 000 ქულამდე ოჯახის თითოეული წევრი 60 ლარს ღებულობს; 30 001-დან 57 000 ქულამდე _ 50 ლარს; 57 001-დან 60 000 ქულამდე _ 40 ლარს, ხოლო 60 001-დან 65 000 ქულამდე _ 30 ლარს. ამასთან, ოჯახები, რომელთაც 16 წლამდე ბავშვები ჰყავთ და სარეიტინგო ქულა 100 000-მდეა, თითოეულზე დამატებით 10 ლარს იღებენ.

ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლას სოციალურად დაუცველთა ოჯახების ხელახალი გადამოწმება და შესაბამისად, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში ცვლილებები მოჰყვა. "ეს ნიშნავს, რომ ზოგი ხვდება მონაცემთა ბაზაში და მოიპოვებს შემწეობის დანიშვნის უფლებას, ზოგი კარგავს ამ უფლებას." _ გვიხსნის სოციალური მომსახურების სააგენტოს სამტრედიის ფილიალის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ბესიკ მიქაძე.

"როგორც კი დღევანდელი მეთოდოლოგია ამუშავდა, სააგენტომ საინფორმაციო ხასიათის კამპანია წამოიწყო. გვქონდა შეხვედრები, მაგრამ არა გამგებლის წარმომადგენლებთან. თუმცა ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ ადამიანებს უწევთ ადგილებზე სოციალურად დაუცველებთან ურთიერთობა. შეხვედრაც მიზნად ისახავს, მეტი ინფორმაცია მიეწოდოთ მათ სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესზე, თუ როგორ ხდება ქულების გამოთვლა პროცედურულად, რა მეთოდოლოგიით და ა. შ." _ ამბობს ქალბატონი ნინო.

მუნიციპალიტეტის გამგებლის, ვალერიანე ფოცხვერიას მოსაზრებით კი: "მართალია, შეიცვალა ფორმულა, მაგრამ მოსახლეობის მხრიდან იგივე პრეტენზიები არსებობს. არ უნდა ხდებოდეს, რომ მართლაც გაჭირვებული ვერ ღებულობდეს შემწეობას და მეტ-ნაკლებად შეძლებული ღებულობდეს. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები არსებობს. სარეიტინგო ქულების მინიჭებისას ადგილობრივი წარმომადგენლების აზრის გათვალისწინებაც უნდა ხდებოდეს."

იგივე შეხედულება დააფიქსირა ჩვენთან საუბარში გამგებლის წარმომადგენელმა სოფელ გორმაღალში, ხათუნა ლებანიძემ: "უწინ ჩვენ შუამდგომლობას ვუწევდით ამ ადამიანებს. ახლა ასე არ ხდება. ისეთი ოჯახები დარჩნენ სოციალური შემწეობის გარეშე, მართლაც რომ ესაჭიროებათ დახმარება. ჩემს სოფელში ექვსი ასეთი ოჯახია. შეხვედრაზე მითხრეს, რომ მათი დეკლარაციები უნდა გადაიხედოს და თავიდან მიმართონ სააგენტოს. მუნიციპალიტეტის შუამდგომლობით ვადაზე ადრე მოხდება ამ ხალხის გადამოწმება დახმარების მისაღებად."

შეფასების კრიტერიუმის შეცვლის აუცილებლობაზე მიუთითებს გამგებლის წარმომადგენელი ეწრის თემში, რევაზ ივანიაძე: "ბოლოდროინდელი მეთოდოლოგია მიუღებელია სოციალურად დაუცველებისთვის, რადგან დიდი ნაღმი ჩაიდო, როცა სოციალური შემწეობის მიღება სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და საცხოვრებელი სახლების ფართის გამო უწყდებათ".

ნინო ჭიღლაძე კი გვარწმუნებს, რომ ინფორმაციის მიწოდების წესი ჯერ კიდევ იხვეწება. ზოგადად, სარეიტინგო ქულათა რაოდენობა სწორედ იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ზუსტად მიეწოდება ინფორმაცია სააგენტოს სოციალურად დაუცველთა ბაზაში ოჯახის მოსახვედრად. თუმცა სოციალური აგენტის შეფასებას არავითარი გავლენა არა აქვს სარეიტინგო ქულაზე. ოჯახის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმება სხვადასხვა უწყების მონაცემებთან ხდება.

"ცენტრალური ხელისუფლება თუ ვერ დააფინანსებს, თანხას ადგილობრივ ბიუჯეტში გამოვნახავთ"

ნინო ნანიტაშვილი

"უსახური შენობებისგან ჩვენი მუნიციპალიტეტი უნდა გაიწმინდოს" _ ასეთი რადიკალური განცხადებით დაიწყო ორშაბათის ტრადიციული თათბირი სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამ. მან იქვე ქალაქისა და სოფლების წარმომადგენლებს დავალება მისცა, ოთხშაბათისთვის ყველამ ნოე ივანიაძესთან თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მიტოვებული, უსახური შენობების დასურათებული ინფორმაციები მიიტანოს: "დავალება დაუყოვნებლივ უნდა შეასრულოთ, მსგავსი შენობები თითქმის ყველა სოფელშია, განსაკუთრებით მძიმე სურათი გვაქვს ქალაქში. მიტოვებული შენობები არა მარტო აუშნოებს ტერიტორიულ ერთეულებს, არამედ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას. გავალებთ, ჯერ აღწეროთ შენობები, შემდეგ შევატყობინოთ მათ მეპატრონეებს, ან თვითონ იზრუნონ, თუ არა და, ჩვენ მივხედავთ. კერძო ობიექტების მფლობელებს მოვთხოვოთ, წესრიგში მოიყვანონ თავიანთი საკუთრება".

პირველი კატეგორიის მერქანზე და მასალაზე ინფორმაციების შეკრება აქვს დავალებული მამუკა თავაძეს. გამგებლის მოადგილე მსგავს ინფორმაციას ყოველწლიურად აგროვებს და შესაბამის უწყებას აცნობებს. წყალტუბოს სატყეო მეურნეობა მზად არის, მსურველებს გამოუყოს შესაბამისი ტერიტორია, სადაც თავად მოქალაქეები მოჭრიან ხეებს და თავადვე უზრუნველყოფენ პირველი კატეგორიის მერქნისა და მასალის გამოტანას.

ვალერიანე ფოცხვერია იქვე დასძენს, რომ წყალტუბოს მეურნეობის ღონისძიებას სამტრედიიდან ნაკლები გამოხმაურება აქვს: "მსურველი შეიძლება, ბევრი იყოს, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობას საშუალება არა აქვს, პირველი კატეგორიის მერქანი და მასალა გამოიტანოს. მაგრამ ჩვენ ვალდებულები ვართ, ეს ინფორმაცია მოსახლეობამდე მივიტანოთ".

ზურაბ გოგიას განმარტებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტში ამ დროისთვის მხოლოდ ორი პროექტის განხორციელება მიმდინარეობს. მისი მხრიდან გაჟღერდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამა აღარ იმუშავებს. ამდენად, მუნიციპალიტეტს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 200 000 ლარის გამოყოფა დასჭირდება გზების მოხრეშვითი სამუშაოების ჩასატარებლად. "ასეთ სიტუაციაში ბიუჯეტში პრიორიტეტების შეცვლა გახდება საჭირო". _ დაასკვნის ვალერიანე ფოცხვერია.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა სოფლებიდან მოითხოვა ახალი ინფორმაციების მიღება. წარმომადგენლების უმრავლესობა დანანებით აღნიშნავდა, რომ სოფლის მხარდამჭერი პროგრამის გაჩერება მათ ტერიტორიულ ერთეულებს დააზარალებს. ვალერიანე ფოცხვერიამ მათ იმედი მისცა, რომ თუ ცენტრალური ბიუჯეტი ვერ დააფინანსებს ცალკეულ პროექტებს, მისთვის თანხებს ბიუჯეტში გამონახავენ.

ლევან ახობაძემ ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე განცხადება გაკეთა და ვრცელი ინფორმაცია მიაწოდა სხდომის მონაწილეებს სოციალურ სამსახურში შემოსული განცხადებებისა და გაცემული საგარანტიოების შესახებ: 1 იანვრიდან დღემდე სულ შემოსულია 800-ზე მეტი განცხადება. აქედან მედიკამენტებზე 124 საგარანტიო წერილია გაცემული. ოპერაციებსა და გამოკვლევებზე _ 154, ერთჯერადი დახმარებით დაკმაყოფილებულია 476 ადამიანი; მათ შორის 35 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, 8-ჯერ თანხა სარიტუალო მომსახურებაზე გაიცა, 6 სტუდენტს დაეხმარნენ, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაზე 42 მოქალაქე დაკმაყოფილდა, 54 ლეიკემიით დაავადებულ ადამიანს დაეხმარნენ, ასევე, 21 დედ-მამით ობოლი ბავშვის დახმარება გაიცა. ლევან ახობაძის განმარტებით, აუცილებელი ხდება მედიკამენტების გაცემაზე დაწესებული შუამდგომლობების დაკმაყოფილება მარტო სარეიტინგო ქულის მიხედვით მოხდეს.

სანუკვარი თასი კუნძულ ოკინავადან

ქეთევან ჭელიძე

იქ, კარატეს სამშობლოში, კუნძულ ოკინავაზე, იაპონელების მიერ თითქმის წმინდა ადგილად აღიარებულ ბუდოკანში (ორთაბრძოლების სასახლე) დიდხანს იდგა თავდახრილი დამარცხებული იაპონელი და თანამემამულეების წინაშე ბოდიშს იხდიდა. ვერ წარმოიდგენდა, თუ იმ პატარა ქვეყნიდან, საქართველო რომ ჰქვია, ჩამოსული სპორტსმენი მას, იაპონელს, ბრძოლას მოუგებდა.

თამარ ბიბილეიშვილმა მისია შეასრულა _ იგი პირველი და ერთადერთი კარატისტი ქალია, რომელმაც კუნძულ ოკინავაზე იასპარეზა და ტრადიციული, სანუკვარი თასიც ევროპაში პირველმა ჩამოიტანა.

სამტრედიელი კარატისტების წარმატებებზე ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ბევრჯერ დაგვიწერია. ამჯერად, მკითხველის ყურადღებას 2017 წლის 21-22 იანვარს გამართულ კარატეს საერთაშორისო ორგანიზაცია სრულიად იაპონიის კიოკუშინის კავშირის მსოფლიო თასის ჩემპიონატზე შევაჩერებთ. კუნძულ ოკინავაზე ის უკვე მეორედ ჩატარდა. 2008 წელს სენსეი მიხეილ ქანთარია პირველი ქართველი კარატისტი იყო, იქ რომ ჩავიდა. სამტრედიის კარატისტთა კლუბი იაპონიაში არსებული ამ ორგანიზაციის წევრი გახდა და მის პრეზიდენტს შესაბამისი სერთიფიკატიც გადაეცა. ამასთან, სენსეიმ შავი ქამრის მესამე დაწზე გამოცდაც წარმატებით ჩააბარა. 2017 წელს უკვე მეორედ ესტუმრნენ მსოფლიო თასის ჩემპიონატზე კუნძულ ოკინავას და თამარმა მესამე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. შეჯიბრება მამაკაცებში აბსოლუტურ წონაში მიმდინარეობდა. ქალები 60 კილოგრამამდე და ზემოთ წონით კატეგორიებში მონაწილეობდნენ. ქართველმა სპორტსმენმა კი 60 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში იასპარეზა. მან პირველი შეხვედრა ბელგიელ ჯოკე დე ბორგესთან მოიგო. მეორე გამარჯვება ჰარა ჰიკარისთან მოიპოვა. მესამე ბრძოლა ისევ იაპონელთან, ასაკო რეიმისთან გამართა და წაგებით დაასრულა. მესამე ადგილისთვის კი ყაზახ რეგინა მეშოვასთან მოუწია შეხვედრა და გამარჯვებაც მოიპოვა.

თამარ ბიბილეიშვილი მსოფლიოს უძლიერეს კარატისტ ქალთა სამეულში შედის. 2016 წელს კი იგი საქართველოში ორთაბრძოლების ნომერ პირველ სპეციალისტად დაასახელეს.

"იაპონელთან რომ გაიმარჯვა თამარმა, დარბაზი ემოციებს ვერ ფარავდა. მაყურებელი მოდიოდა, ულოცავდა და ავტოგრაფს სთხოვდა. დამარცხებულ იაპონელსაც მოვეფერეთ, დარცხვენილი რომ იდგა დარბაზის წინაშე. მასთან სურათიც გადაიღო თამრიკომ.

ასაკო რეიმისთან შეხვედრაზე ძალიან კარგად იბრძოდა, "დარბაზი "ჯორჯია, ჯორჯიას" აღტაცებით იძახდა. მე წამებს ხმამაღლა ვუთვლიდი თამარს და... დამთავრებას რომ შვიდი წამი აკლდა, დარბაზი გაჩუმდა. მსაჯი იაპონელისკენ იშვერდა ხელს და მას ნახევარი ვაზარი მისცა. დავმარცხდით. 40 სხვადასხვა მასშტაბის ბრძოლა აქვს ჩატარებული თამარს 14 წლის მანძილზე და ის პირველი შემთხვევა იყო, ქულა რომ თავისით დაჰკარგა. სხვა დროს ყოველთვის მსაჯების უპირატესობით აგებდა. ჩვენდა გასახარად, ოთხეულში მოვხვდით. მესამე საპრიზო ადგილისთვის თავგამეტებით იბრძოდა, თავის თავს არ ჰგავდა."

...სენსეი მიხეილ ქანთარიას არ ახსოვს, როგორ დაეცა მუხლებზე, ტატამზე ხელებს სცემდა და სიხარულის ცრემლით ტიროდა. როგორც გვეუბნება, ეს ორიგინალური და სანუკვარი თასი, რაც კი 37 წლის მანძილზე უშრომია, მისი შედეგია და ეამაყება. ხშირად ეხუმრებოდა თამარს, ისე არ გაგათხოვებ, ვიდრე იმ თასს მზითევში არ გაგატანო. "კარატეს სახლში, კარატეს სამშობლოში _ ეს ყველაფერს ნიშნავს. სწორედ იმ ორთაბრძოლების სასახლეში ჩავაბარე გამოცდა მესამე დაწზე, სადაც რიგითი მაყურებელიც კი ფეხშიშველა შედის. მათთვის ის წმინდა ადგილია და კარატე თითქმის სარწმუნოების რანგში აქვთ აყვანილი. 80 წლის სამურაი გავიცანი მაშინ, რომელმაც 15 საუკუნის კატანა (ხმალი) დამაჭერინა ხელში. კარატე იაპონელებისთვის ღირსების საქმეა და ყველაფერზე მაღლა დგას". _ გვიყვება სენსეი.

მადლიერება გამოხატა საქართველოს შინ-კიოკუშინკაი კარატეს ფედერაციის ხელმძღვანელობის მიმართ, რომელიც თითქმის ყოველთვის სამტრედიელი კარატისტების გვერდით დგას. აღნიშნა, თუ როგორ დაეხმარა სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირაკლი დოლაბერიძე დარბაზით თბილისში, როგორ მიამაგრა თამარ ბიბილეიშვილს სპარინგ-პარტნიორები, როგორ ეხმარებოდა ნაკრების მწვრთნელი სენსეის ტაქტიკური ორთაბრძოლების მომზადებაში და სხვა.

ჩემპიონატის დასრულების შემდეგ საინარზე (ბანკეტზე) კიოკუშინკაის ბრაზილიელი წარმომადგენელი ქართველ კარატისტებთან მივიდა და თამარი ივნისში ბრაზილიაში ლათინური ამერიკის თასზე გასამართ ჩემპიონატზე მიიწვია. მიწვევა აქვს აგრეთვე, ამერიკის მთლიანი

კონტინენტის ჩემპიონატზეც. იგი 4-5 აგვისტოს მექსიკაში გაიმართება.

როგორც ყველგან, მიხეილ ქანთარიამ სამტრედიის დროშა იაპონიაშიც გაშალა. ეს კარატეს საერთაშორისო ორგანიზაციის წევრებისთვის კარგად ნაცნობი ჟესტია, რის ნებასაც მას ყოველთვის რთავენ. "სამტრედიის დროშას რომ გავშლი, ძალიან ბედნიერი ვარ. სურათებს ულებენ და მერე მთელი მსოფლიო ნახულობს მას. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანია. საქართველოში, ან თუნდაც სამტრედიაში დამისახელეთ ვინმე, თავისი მუნიციპალიტეტის დროშას ასპარეზობებში აფრიალებდეს". _ თქვა მან.

ბატონი მიხეილი მადლიერებას გამოხატავს მუნიციპალიტეტის გამგებელ ვალერიანე ფოცხვერიასა და განსაკუთრებით დავით ბახტაძის მიმართ ფინანსური მხარდაჭერისთვის, ასევე, მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორის, ვანო კილტავასადმი. აქვე სენსეი იმ პრობლემებზეც გვესაუბრება, მუდმივად თან რომ სდევს მათ სპორტულ ცხოვრებას. ამბობს, რომ ერთადერთია, ვინც დარბაზში ფულს იხდის, თანაც, იქ უფრო ცივა, ვიდრე გარეთ; რომ სპორტულ ინვენტარს თვითონ იძენენ და სხვა. მიუხედავად ამისა, "თხუთმეტამდე ბავშვი მყავს და მათ შორის მსოფლიო თასის პრიზიორი, მეტი რომ მყავდეს, ხომ წარმოგიდგენიათ!" _ აცხადებს იგი. თვლის, რომ სამტრედიაში კარატისტებს სათანადო ყურადღება არ ექცევა, მიუხედავად იმისა, რომ სპორტის არც ერთ სახეობაში ასეთი წარმატებები არავის აქვს. "მე რომ მეუბნებიან, თანხა არ არისო და სხვას მისცემენ, ეს რას ნიშნავს? ყველა სახეობას ერთნაირად უნდა აფინანსებდნენ. თამარი 2016 წლის ორთაბრძოლების ნომერ პირველ სპეციალისტად დაასახელეს და მუნიციპალიტეტის კომისიამ დაიწუნა, წარმატებული არ არისო". _ დასძენს სენსეი.

სპორტს არა მარტო სამტრედიაში, მთელ საქართველოში რომ განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდება, ამას ბატონი ივანე კილტავაც გვიდასტურებს. "ჩვენს სპორტსკოლაში სპორტის 9 სახეობა შემოდის. ყველას სჭირდება ფინანსური დახმარება. 5 ბავშვი რომ უნდა წავიდეს შეჯიბრებაზე და მწვრთნელს ეუბნები, სამი გაუშვას, იმიტომ, რომ თანხა არ გაქვს, არჩევანი როგორ უნდა გააკეთოს?! იქნებ, იმ დარჩენილს შეუძლია წარმატების მოტანა. კარატე სპორტსკოლაში 2003 წლიდან არსებობს. როცა ჩვენ წარმატებებზე ვსაუბრობთ, იქ ყოველთვის მიშაც დგას. ვულოცავ თამარ ბიბილეიშვილს და მის მწვრთნელს ამ დიდ გამარჯვებას." ისურვა, კიდევ ბევრ წარმატებას და დიდ შედეგებს აღწევდნენ ჩვენი სპორტსმენები, გულგატეხილები არ ყოფილიყვნენ მწვრთნელები და სათანადო მხარდაჭერა ჰქონოდეს სპორტულ სკოლას მათგან, ვისაც ეს შეუძლია. მადლიერება გამოხატა ვალერი ფოცხვერიასა და დავით ბახტაძის მისამართით. ამ ეტაპზე, როგორც შეეძლოთ, მიხეილ ქანთარიას ისე დაეხმარნენო.

მილოცვები მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორის, თამარ ბიბილეიშვილისა და მიხეილ ქანთარიას მისამართით 16 თებერვალს მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზშიც ბევრი ითქვა. სენსეი მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებსა და საკრებულოს წევრებს იაპონიაში გამართული ჩემპიონატის შესახებ ესაუბრა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურმა ბატონ მიხეილს კეთილად უსურვა: "იაპონელებისათვის პირველი ადგილი წაგერთვათ და მართლაც დაძრულიყვნენ ისინი საქართველოსა და სამტრედიის სანახავად, ეს რა მიღწევები აქვთ, რა ძლიერები არიანო." კიდევ მეტი მაღალი შედეგები და აღიარებაც უსურვა სამტრედიელ კარატისტებს.

"ჩვენ განებივრებულნი ვართ თამარის წარმატებებით და სხვაგვარად ვერც წარმოგვიდგენია. _ აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილმა. _ თამარი ცნობილი სპორტსმენია და მასთან შეხვედრისთვის წინასწარ ემზადებიან. მის ყოველ ილეთს სწავლობენ. ცხადია, როცა ქვეყანა მასპინძელია, სასწორი მისკენ იხრება და ასეთ სიტუაციაში ასეთ თასს რომ მოიპოვებ, მართლაც საამაყოა. მე ვიცი, მიშა, თქვენი დამოკიდებულება ამ სპორტისადმი. მთელი ცხოვრება ჩადეთ მისი განვითარებისთვის და გვერდით დგომა ნამდვილად გჭირდებათ. ბატონმა ვალერიანე ფოცხვერიამ მოგილოცათ და ბოდიში მოგიხადათ, გარკვეული მიზეზების გამო, ამ შეხვედრას რომ ვერ დაესწრო.

თბილი სიტყვები და მილოცვები არ დაეშურეს კარატისტების მიმართ შპს "სამტრედიის მაცნეს" დირექტორმა ბეჟან გოგიამ და სამტრედიელი კარატისტების გულშემატკივარმა გოგიტა კაკაბაძემ.

დარბაზში იმყოფებოდა აგრეთვე, საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს კლუბების კავშირის ეროვნული ფედერაციის ტექნიკური განყოფილების ხელმძღვანელი, საერთაშორისო ოსტატი, შავი ქამრის პირველი დანის მფლობელი ლევან არველაძე და წარმატებული პატარა კარატისტები: მანანა მუქერია, თორნიკე გაგუა და ნიკა ნიკურაძე.

შეხვედრას საპატიო მიზეზით თვითონ პრიზიორი არ ესწრებოდა, რადგან იგი ორ კვირაში დანიაში, საერთაშორისო ორგანიზაცია შინ-კიოკუშინკაი კარატეს მიერ ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. გამარჯვების შემთხვევაში თამარი მიწვეული იქნება მსოფლიო ჩემპიონატზე ყაზახეთის ქალაქ ასტანაში.

“კარგია, რომ ბევრნი ვართ”

ლევან გაბეჩავა

2016 წლის შემოდგომამ და შემდგომმა პერიოდმა არაერთხელ დაგვაყენა საზოგადოება მოულოდნელი პოლიტიკური გაყრების რეალობის წინაშე. უფრო ადრე კი მავანნი (პოლიტიკოსები) პრეზიდენტისადმი დაუმორჩილებლობით, მისი ძალაუფლების არცნობით გვაწონებდნენ თავს. ასე თუ ისე, ახალი არაფერი მომხდარა, არც ხდება და არც ვე-

ლით, ქართული პოლიტიკური ცხოვრება ქართველური, მაქსიმალური ემოციების თანხლებით მიმდინარეობს და სხვა რა გზაა, მედიაც ყოველ ცისმარე დილით ახალი დაპირისპირების შესახებ გვამცნობს.

მგონი გადავაჭარბეთ კიდეც, სპორტის სხვადასხვა სახეობების ფედერაციათა თავკაცების, იქამდე საბავშვო ბაღებაღების მმართველების და აღმზრდელების, არაფერს ვამბობთ მოსამართლეების და ა. შ. დანიშვნა _ არჩევა... საქართველოში ყველაფერი პოლიტიზირებულია?!

გაგვიგრძელდა საუბარი.

დაპირისპირება ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ ოპოზიციურ პარტიაში, პარტიიდან წევრების წასვლითა და პარტიის გაყოფით დასრულდა.

10 თებერვალი.

“ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” სამტრედიის რაიონული ორგანიზაცია ქალთა ორგანიზაციას აფუძნებს. პარტიის ოფისის სხდომათა დარბაზი ქალბატონებს ძლივს-ღა იტევდა. სამტრედიისა და სამტრედიელებისათვის ბევრი პატივსაცემი, ღირსეული ქალბატონი ვიხილეთ აქ.

“ნაციონალური მოძრაობის” ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პარლამენტის წევრი თინათინ ბოკუჩავა და მისი მოადგილე დარეჯან ცქვიტარია დამსწრეთ მიესალმნენ.

“კარგია, რომ ბევრნი ვართ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა დატოვა პარტია, ეს, როგორც ხედავთ, მუშაობის შემფერხებელი არ აღმოჩნდა.

უნდა ვთქვა, რომ არა მარტო რეგიონებში, დედაქალაქში, ქვეყანაში, საერთაშორისო მხარდაჭერაც გვაქვს, რაც კიდევ უფრო გვამხნევებს. რაც შეეხება პოლიტიკაში ქალთა ჩართულობას, ჩვენ არ უნდა დავანებოთ ხელისუფლებას ის, რომ ნელ-ნელა უარყონ ქვეყნის სუვერენიტეტი, ჩვენი ერთიანობა ადგილობრივ არჩევნებში

უნდა დავამტკიცოთ”. _ აღნიშნა თინათინ ბოკუჩავამ.

უკრაინაში საქართველოს ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მაღალ რეიტინგზე ისაუბრა უკრაინის ქალთა ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტმა თამარ ივანოვა-გიორგაძემ და ხაზი გაუსვა პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის აუცილებლობას. მან წარმატებები უსურვა “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წევრებსა და შეკრებილ მხარდამჭერებს.

“საარჩევნო სიის ათეულში ორის ნაცვლად სამი ქალბატონი გვეყოლება, ახალგაზრდულ ორგანიზაციასაც ქალბატონი, თინათინ ჯულაყიძე უდგას სათავეში, გვყვანან მთავარი კოორდინატორი ქალბატონები. ყველაფერი პოლიტიკაში, შემდეგ მმართველობით ორგანოებში ქალთა მეტ აქტიურობას შეუწყობს ხელს, ქალბატონებს კომუნიკაციის თავისებური თვისებები გააჩნიათ, რაც უდავოდ ხელსაყრელია პარტიული მუშაობის კუთხით”. _ განუცხადა “სამტრედიის მაცნეს” “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ბატონმა ემზარ შუბლაძემ.

“ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარედ ქალბატონი ქეთევან კუტალაძე აირჩიეს, რომელმაც ნდობისათვის შეკრებილთ მადლობა გადაუხადა.

პარალელები

ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა ბატონი დავით უსუფაშვილის სკანდალურმა განცხადებამ, თუკი “ქართული ოცნება” პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევის შემოღებას გადაწყვეტს, შესაძლოა, გიორგი მარგველაშვილი გადადგეს, ქართველ ხალხს მიმართოს და მოსახლეობას მისცეს შანსი, პრეზიდენტი კიდევ ხუთი წლით 2020 წლამდე აირჩიონ. ყოფილი სპიკერის ასეთი განცხადება, წაქეზების ტოლფასია, ეს არის ახალი დაპირისპირების, დაძაბულობის მცდელობა. მართალია, ის მოვლენების მიღმა აღმოჩნდა, მაგრამ ასეთი განცხადებით კვლავ პოლიტიკაში შემობრუნება მიუღებელია, ეს შეიძლება, სახელმწიფოსათვის დამანგრეველი გამოდგეს.

ასეთი განცხადებით პრეზიდენტი კმაყოფილი არ დარჩა და თქვა, განცხადებას არ იზიარებს.

ერთი და იმავე მდინარეში ორჯერ შესვლა შეუძლებელია. ბატონო დავით, ეს მხოლოდ შარლ დეგოლმა შეძლო რომელსაც ფრანგი ხალხის უსაზღვრო მხარდაჭერა ჰქონდა. თქვენ კი მოსახლეობას თავად გაემიჯნეთ. მეტწილად დაკავებული იყავით შიდა კულუარული გარჩევებით, ვერ იღებდით თამამ გადაწყვეტილებებს, ღიად არ ესაუბრებოდით მოსახლეობას. თქვენი ცოლ-ქმრული ტანდემი შეუთავსებელი გამოდგა სახელმწიფოსათვის, ხალხმა ყოველივე აღიქვა და შედეგმაც არ დააყოვნა, რაც გამოიხატა არჩევნების შედეგით. ხალხი ბრძენია.

რით დაამახსოვრა თავი ყოფილმა პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა დავით ბაქრაძემ საზოგადოებას? ის გაემიჯნა თავის გზამკვლევ ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს და პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში აღმოჩნდა. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მოსახლეობას მოუწოდა, ხელჯოხით შებრძოლებოდა ოკუპანტს, მაშინ როდესაც მისი თანამოძმენი “წითელ ხიდთან” საზღვარზე თავისი ავლა-დიდებით ქვეყნის დატოვებას ლამობდნენ. მისმა მეუღლემ მხოლოდ სატელეფონო საუბრებში 25 ათასი ბიუჯეტის თანხა დახარჯა. ის ხშირად მიმართავს მოსახლეობას რიტორიკით, მისი ჰაბიტუსი ამ დროს თვითკმაყოფილებას გამოხატავს.

კიდევ ერთი პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ამბობს, რომ გონიერი ადამიანია და მას ხელეწიფება ქვეყნის განსაცდელისაგან ხსნა. პრეზიდენტის მოვალეობასაც ასრულებდა, მაგრამ ღირებული ვერაფერი შექმნა. ვიდრე მის პირადს ანგარიშს უწევდნენ, დუმილს ამჯობინებდა. ასე იყო პრეზიდენტ შევარდნაძის და სააკაშვილის დროს. ხმას იმაღლებდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მის პირად და ოჯახის ინტერესს ეხებოდნენ. ე. შევარდნაძემ გაიხსენა, როდესაც ბატონი ანზორ ბურჯანაძე თერჯოლის რაიონის თავკაცი იყო, მასთან მივიდნენ თერჯოლის რაიონის მშრომელები და სთხოვეს ეს კაცი სადმე გადაიყვანე თორემ სარჩო საბადებელი არ დაგვიტოვა. მან შეისმინა მშრომელების თხოვნა და ბატონი ანზორი ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარედ დანიშნა. შემდეგ, როდესაც ბატონი ედუარდი პრეზიდენტი გახდა, ბატონი ანზორ ბურჯანაძე პურპროდუქტების კორპორაციის თავმჯდომარედ დანიშნა. ქალბატონმა ნინომ მშობელ მამას 18 მილიონი ჩამოაწერა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა დუმილის სანაცვლოდ ხარკი გადაიხადა, 1 ლარად 1 მილიონის ქონება გიბოძათ, წყნეთის აგარაკი. როდესაც პირობა დაარღვიეთ, ბატონმა მიშამ ქონება კვლავ ჩამოგართვათ, თქვენ კი ამტკიცებდით, რომ ეს ქონება, კანონის სრული დაცვით, გაწეული ღვაწლისთვის გიბოძეს. ამბობდით, ჩემი კუთვნილებააო.

“ახალი მემარჯვენეები”, ე. წ. “პლედის საქმე” წმინდა “ექვთიმემ” სამშობლოს განძი გადაარჩინა, მისხალი არ მოაკლო. მავანი და მავანი კი “იღვწის” მისთვის, ქართველ ხალხს რა წაგლიჯოს.

“მოქალაქეთა კავშირის” ცნობადმა სახემ, გაყალბების დიდოსტატ ხათუნა გოგორიშვილს, როდესაც ბიულეტენების გაყალბებაზე წაასწრეს, დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ ის განსაცდელიდან ეხსნათ.

უშიშროების საბჭოს ყოფილმა მდივანმა ბატონმა გიგა ბოკერიამ, როგორც მსოფლიოში ცნობილმა ილუზიონისტმა კოფერფილდმა სივრცეში მატარებელი გააქრო, ასევე გიგამ 22 მილიონი ისე გააქრო, რომ დღემდე ვერავინ მოიძია. მას საზოგადოებამ “რუხი კარდინალი” შეარქვა.

დედაქალაქის ყოფილი მერი, “სტიქაროსანი”, რომელმაც “ზონდერი” სოსო თოფურიძე წმინდა სამების ტაძარში შეაგზავნა, იქ ცოდვა-მადლის განკითხვა მოაწყო (ამჟამად ქვეყნიდან გაქცეულია). გიგი განცხრომით დროს ატარებდა სტრიპტიზ კლუბში. მანვე 800 კაცს ბიუჯეტის თანხა დაურიგა საარჩევნო ხმების სანაცვლოდ, რაც თავად აღიარა. დღეს გიგი უგულავა ბიბლიას იშველიებს და ამბობს, წარსული დავივიწყოთ, მაშინ, როდესაც თვით ბიბლია ორი ნაწილისაგან შედგება, ძველი და ახალი აღთქმისგან. წარსული, აწმყო და მომავალი ერთი მთლიანია, ისე როგორც წმინდა სამება, მამა, ძე და სულიწმინდა.

ბატონი გიგი ჩუკენობას არ ღალატობს. “2015 წლის 20 თებერვლის გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” საგაზეთო პუბლიკაციაში სათაურით “რანი ვართ ძახილი სიცარიელეში?!” ვწერდი, რომ ქვეყანაში დომინირებს 7 ძალა, აღვნიშნე, რომ საზოგადოებისათვის გაურკვეველია, პრეზიდენტი რა ადგილს იკავებს, რას ემსახურება. დღეს უკვე ცნობილი ექსპერტები ღიად აცხადებენ, გაურკვეველია პრეზიდენტი რისთვის იღვწის, ეჭვს გამოთქვამენ, რომ თავად არ იცის, რა სურს, რაც ძალზედ დამაფიქრებელი და სავალალოა.

ზემოთ ხსენებული ე. წ. “კოჰორტა” კვლავ ცდილობს ხელისუფლებაში დაბრუნებას, აცხადებენ, რომ ისინი იქნებიან ქვეყნის მხსნელნი. საზოგადოებას კარგად ახსოვს, როდესაც ხელისუფლებაში იყვნენ, ღირებული ვეღარა შექმნეს. ბატონებო, თავის დროზე რატომ დუმდით? სავარძლის დაკარგვით გეშინიათ იმ კეთილდღეობის დაკარგვის, რომელსაც ხელისუფლების სათავეში ყოფნა იძლევა, მაშინ ნუ დაიბრალებთ, რომ ხალხის სამსახურში დგომა გსურთ, ეს ფარისველობა და დიდი ცოდვაა. უფლის არ გეშინიათ? დღეს ეს ბატონები თავის იავარქმნილ საქმეებს ბატონ ბიძინა ივანიშვილს აბრალებენ, გაიძახიან ქვეყანა ტირანისაგან და ტირანიისაგან იხსნა. ისტორიაში ცოტა მოიძებნება ასეთი ხელმძღვანელი. ქართველებს გვყავდა მეფე დავითი, რომელსაც ხალხმა “აღმაშენებელი შეარქვა” და “მესიის მახვილი” უწოდა. მან დაწერა “გალობანი სინანულისანი”, საქართველო გააერთიანა.

ბიძინა ივანიშვილმა უპრეცედენტო რამ მოიმოქმედა, პრემიერ-მინისტრობიდან გადადგა. ასეთი ანალოგი მსოფლიოში არ მოიძებნება. მოპოვებული ხელისუფლება კვლავ ხალხს დაუბრუნა და როგორც რიგითმა ერისშვილმა, კვლავაც განაგრძო სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით მსახურება.

ჭაბუა ამირეჯიბს თავის წიგნში მაგალითისთვის ერთი არაკი მოჰყავს: ლომია დაჭრილი იმ არაკში, სისხლი მოსდის მკერდიდან და გარშემო აფთრებს სიხარული აქვთ, ლომი რომ კვდება და ლეში მათ დარჩებათ, ლომი მოიკრებს ძალას და სისხლის გუბეს დააყენებს. იქვე იხსენებს დიდ კლასიკოსს ვაჟა-ფშაველას ლექსს “არწივი” და სვამს კითხვას, ამ დიდ კაცს რატომ არ მოუვიდა აზრად. მისი არწივიც წამოფრენოდა ყვავ-ყორნებს, ბუმბული გაეფანტა მათი და შვება მისცემოდა ამით. რატომ და ასე ექნა, გაბოროტების და ჯავრის ამოყრის მაგალითი უნდა მიეცა სხვისთვის. არ ჰქნა მან ეს.

როდესაც ბიძინა ივანიშვილს მოსთხოვეს “ნაციონალები” დაისაჯონონ, ბიძინას პასუხი იყო, ისინიც ხომ ქართველები არიან _ ჩვენი ქვეყნის შვილები, ფიქრობდა, რომ გონს მოეგებოდნენ, მაგრამ ნათქვამია: “არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა”.

დადგა ჟამი საზოგადოება გესლისაგან განიბანოს. საყოველთაოდ ცნობილია ბატონი ბიძინას დამოკიდებულება ოჯახის ინსტიტუტის მიმართ. მის სულისკვეთებას კარგად გამოხატავს მისი შვილების ქართული სახელები: უტა, გვანცა, ბერა, ცოტნე, რაც მრავლისმეტყველია, ოჯახი მისი ციხე-სიმაგრეა. ოჯახი ხომ სახელმწიფოს ქვაკუთხედია, ძლიერი ოჯახები _ ძლიერი სახელმწიფოა. ფუჭია მოსაზრება, რომ ბიძინა სამშობლოს განსაცდელში მიატოვებს, არ მიატოვებს, ისე როგორც არწივი მთას. ბიძინა არწივია _ საქართველოს ისტორია არაერთ გმირს იცნობს, რაოდენ საამაყოა, როდესაც თანამედროვეობას გმირები ჰყავს; ჟიული შარტავა, რომელმაც საქართველოს მთლიანობისთვის თავი დადო, როგორ ევედრებოდა მაშინდელ მესვეურთ, პირადი წყენა დაივიწყეთ და ერთად დავდგეთ სამშობლოს მთლიანობისთვისო. არ შეისმინეს მისი ვედრება და შედეგიც სავალალო დადგა.

ჩვენი რაიონის შვილი, ღირსეული მამულიშვილი ირაკლი ქუთათელაძე, რომელმაც ადამიანი განსაცდელისაგან იხსნა, თავად დაიღუპა. მან არც კი იცოდა რა ეროვნებისა და აღმსარებლობის ადამიანი იყო განსაცდელში.

განვმეორდები და ადგილობრივ ხელისუფლებას შევახსენებ, დროა საქართველოს გმირის, ირაკლი ქუთათელაძის სტელა განთავსდეს “დედის ძეგლთან”, რამეთუ საშურ საქმეს დავიწყება არ ეგების.

სულ ახლახან სულიერი მამა, 27 წლის არქიმანდრიტი ილია კარტოზია, კუნძულ კრეტაზე მიემგზავრებოდა მოსალოცად, გემმა კატასტროფა განიცადა. მან გემბანი მანამ არ მიატოვა, ვიდრე ბოლო მგზავრები, დედა-შვილი სამშვიდობოს არ გაიყვანა, თავად აღესრულა, ნათელი დაადგეს მათ სახელებს.

დაბოლოს, მინდა ილია მართლის შეგონება გავიხსენო: “კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე; ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, აბა დღეს მე ვის რა ვარგე?”

გია ბოჭორიშვილი

P.S.

მეტად მწარედ გული გვტკივა, გვაკერკოლებს და ტანში გვწვარავს...

მამულიშვილნო, ჭეშმარიტებას ვემსახუროთ!

ჩირბღლის ჯვარ

ხუსთავველის ღექსად ნათქვამი სიყვარულის ამბავი

ცეცხლის ენაზე მობუბუნე ბუხართან

თეა ბაბუნაშვილი

იმ პატარა ოთახში, სადაც ბატონი თემურ აბზიანიძე სტუმრებს იღებს ბუხარი ცეცხლის ენაზე ჰყვება სიმყუდროვის ამბავს. უცებ ერთი დიდი ნატურმორტის შემადგენელი ნაწილი ხდები, რომელზეც საქართველო ხატია. ირგვლივ ყველაფერია, უბრალო "ქვიჯის" ქვიდან დაწყებული, გიტარით დამთავრებული და კიდევ გულია, მასპინძლების უბრალოებით მდიდარი და ლამაზი გული. სიმღერით, ხელოვნებით აღმაფრენაა და სურვილი, რუსთაველის ღექსად თქვა იმ დიდი სიყვარულის ამბავი, თემურ აბზიანიძესა და ჩხო რუსაძეს ფუძე რომ გაამართვიათ.

ლამაზი წყვილი იყვნენ. რამდენიმე შუხვედრამ გადაწყვიტა მათი ბედი. ისეთ გემოვნებიან კაცს, როგორიც ბატონი თემურია, არ შეიძლებოდა ქუთაისის ქარს სამტრედიაში სტუმრად ჩამოყოლილი მომხიბვლელი ქალბატონი არ შეენიშნა. ჰოდა, მოსტაცა კიდეც თეთრ ხიდს და მაისის ქუთაისს!

ასე 40 წელი გავიდა. ერთადერთი ქალიშვილის დედობისა და ტრადიციებით მდიდარი, განათლებული ოჯახის რძლობა ღირსეულად შესძლო ქალბატონმა ჩხო რუსაძემ. ქალის ამტანობას და გამტანობას კერია აძლიერებია.

თუმცა, არა მხოლოდ ოჯახი. მას სამტრედიაში საუკეთესო ტრადიციების გაგრძელება და დაცვა ერგო არცთუ მსუბუქ ტვირთად. უკვე ორმოცი წელია, დომენტი შანიძის სამუსიკო სკოლის წამყვანი პედაგოგი, აქვერად კი სასწავლო ნაწილის გამგეა. ჩვენი რესპონდენტი რატომ გახდა? აქამდეც უნდა გამხდარიყო, ჩვენ დავაგვიანეთ, რადგან თუ ვინმეს რუდუნებისა და თავდადებისთვის, უანგარობისთვის, ნიჭიერებისთვის, გულწრფელობისთვის მადლობა ეკუთვნის, მათ შორის ჩხო რუსაძე ერთ-ერთი პირველი გახლავთ.

ჩემთვის და ბევრისთვის ჩემი თაობიდან, ეგი ჩხო მასწავლებელია, ლამაზი, თბილი, გემოვნებიანი, საჭირო დროს მკაცრიც, მაგრამ სიყვარულით ნათქვამი "შვილოთი" და "დედიკოთი", ძალიან რომ გვიადვილებდა სოლფეჯიოს რთული გამოცდის ჩაბარებას. ეკვეთილები? ამ წერილზე მუშაობისას, ისევ მესმოდა გუნდის გაკვეთილებიდან "მი, მა, მე, მო, მუ..." _ მუსიკალური სავარჯიშო. მერე კარნახივით დაიწერა ეს სიტყვები იმ დიდი მონატრების გამოსახატად, ბავშვობა და ჩხო მასწავლებელზე შეყვარებული მოსწავლეობა რომ ჰქვია.

ვერასდროს ვიფიქრებდი, თუ ჟურნალისტის ამპლუაში ვისაუბრებდი მასთან და მისვან ბავშვის სიყვარულის გარდა განსაკუთრებულ პატივისცემას ვიგრძნობდი. გულწრფელად გეუბნებით, შემრცხვა.

მინდა, ბევრი ლამაზი სიტყვით მოვიყვეთ ჩემს ჩხო მასწავლებელზე, მაგრამ თითქოს ჯიბრზე, ახლა ვერ ვახერხებ. ამიტომ თქვენც წაგაკითხებთ რაზე ვისაუბრეთ ბატონი თემურის სამყაროში, ანუ იმ ნატურმორტად ქცეულ ოთახში, ჯადოსნურად ჭრელ ზღაპარს რომ უყვება ყველა სტუმარს და სურვილს უტოვებს, კიდევ ხშირად მოისმინოს ეს მონათხრობი აქ, ამ ვარემოში ცეცხლის ენაზე მობუბუნე თბილ ბუხართან.

_ ჯერ კიდევ ექვსი წლით ადრე, სანამ სამტრედიელების რძალი გავხდებოდი, აქ, დომენტი შანიძის სახელობის სამუსიკო სკოლის სტუდიაში პედაგოგად ვმუშაობდი. მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის საგუნდო და სოლფეჯიოს კლასი წითელ დიპლომზე დავამთავრე. ჩემი პირველი სამუშაო ადგილი მესხიშვილის თეატრში სპექტაკლების მუსიკალური გამფორმებელი გახლდათ. მაშინ ქუთაისში სამუსიკო სკოლაში პედაგოგად მოხვედრა დიდი ამბავი იყო. სამტრედიაში ჩემი თანაკურსელი, მარინა მექვაბრიშვილი მუშაობდა. მისი დახმარებით მოვხვდი ამ სტუდიაში. შემდეგ ცოტა ხანი მეორე სამუსიკო სკოლაში გადავედი პედაგოგად. ქუთაისიდან 11 გოგონა დავდიოდით სამტრედიაში. ავტობუსი გვიან მოდიოდა და ვერ ვასწრებდით. ამიტომ, დილით ადრე, ე.წ. "ელექტრიჩკას" ჩამოვყვებოდით ხოლმე. გზაში სულ ვმღეროდით. ამიტომ სკოლის დამლაგებელი გალია, დაგვინახავდა თუ არა, იტყოდა: "ვოტ, ნაში ლასტოჩკი პრიეხალი!" და კარს გვიღებდა. ჩემი დედამთილიც, ქეთევან დოდიკა ახვლედიანი პირველ სამუსიკო სკოლაში მუშაობდა ბატონი დომენტის დროიდან მოყოლებული. თავდაპირველად გუნდის საათები მომცეს, მერე ოთარ მასწავლებელმა სოლფეჯიოს საათებიც მანდო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგი პედაგოგების კლასი მქონდა გავლილი, მასწავლიდნენ მადონა კვანტალიანი, ლეილა გუბელაძე, ქეთევან მელქაძე, მაინც შემეშინდა. ოთარ მასწავლებელს ძალიან დიდი კონტაქტები ჰქონდა ქუთაისის სამუსიკო სასწავლებელთან და პირადად მის ხელმძღვანელ ენი არსენიძესთან. ამ სასწავლებლიდან წამოვიდა ინიციატივა, რომ იქაური პედაგოგი ჩაატარებდა გაკვეთილს ჩვენი სკოლის რომელიმე კლასთან. არჩევანი ჩემს მეშვიდე კლასზე შეჩერდა. თეორიული განყოფილების მეთოდკომისია ჩამოვიდა და ჩემმა ყოფილმა პედაგოგმა, მადონა კვანტალიანმა ჩაატარა ჩემს ბავშვებთან ღია გაკვეთილი. აღფრთოვანებულები წავიდნენ. ოთარ მასწავლებელმა კი იმ წელს ჩემი ყველა მოსწავლე გამოცდიდან გაათავისუფლა. ამ გაკვეთილის შემდეგ, იმ კლასის მოსწავლე ეკა ძიძიგური უგამოცდოთ ჩარიცხეს მელიტონ ბალანჩივაძის სამუსიკო სასწავლებელში. ეს ერტადერთი შემთხვევა იყო სამტრედიაში.

ამის შემდეგ სამი წლის მანძილზე მეორე სამუსიკო სასწავლებელში მისი მაშინდელი დირექტორის, ია კუჭუხიძის თხოვნით მეთოდისტადაც ვმუშაობდი. რაიონული და საქალაქო დატვირთვით მეთოდურ გაკვეთილებს ვატარებდი პედაგოგებისთვის სოლფეჯიოში.

_ მე კარგად მახსოვს მუდამ მომზიბვლელი და გემოვნებიანი იზო მასწავლებელი ჩაცმის გამორჩეული სტილით, დახვეწილი სამკაულებით, საუცხოო სუნამოს სურნელით და ძალიან თბილად ნათქვამი "დედიკოთი"

_ ასე მიმართავდა იგი მოსწავლეებს. დღეს სასწავლო ნაწილის გამგე ბრძანდებით და ბევრის თქმა შეგიძლიათ პირველ სამუსიკო სკოლაზე.

_ ძალიან ბევრის. არა მგონია, ვინმესთვის საწყენი იყოს, თუ ვიტყვი, რომ ცოტა ძნელია ისეთ სასწავლებელს გაეჯიბრო, როგორიც დომენტი შანიძის სახელობის სამუსიკო სკოლაა. დღეს სახელოვნებო სკოლის სტატუსი აქვს მას. ბატონ ოთარს, როგორც მუსიკოსსა და ხელმძღვანელს, საზოგადოებისთვის შეხსენება არ სჭირდება, მით უმეტეს გაცნობა. ვისაუბრებ სკოლის დღევანდელობაზე. ირმა შანიძემ, ოთარ მასწავლებლის ქალიშვილმა, მისი გარდაცვალების მერე რომ ჩაიბარა ეს სასწავლებელი, ყველაფერი გააკეთა, რომ შანიძეების ოჯახური ტრადიცია სასწავლებლის სიძლიერისა დღემდე ღირსეულად მოეტანა. ამ სიტყვებში არც ერთი გადამეტებულად ნათქვამი არ არის. დღეს სკოლის კონტინგენტი ყველაზე მაღალია რაიონებში და არა მხოლოდ რაიონებში, დიდ ქალაქებში არსებული სხვა სამუსიკო სკოლების კონტინგენტის ფონზე. 224 ბავშვი სწავლობს ჩვენს სკოლაში და უკვირთ, როგორ ვინარჩუნებთ მოსწავლეების ამ რაოდენობას. და რაც მთავარია, წარმატებები _ თუ საერთოდ გაჩნდა რამენაირი ფინანსური შესაძლებლობა, კონკურსს არ ვტოვებთ მონაწილეობა რომ არ მივიღოთ. და ამ ფინანსებსაც საიდან გამონახავს დირექტორი, ხშირად გაოცებული დარჩები. ყველა კონკურსიდან გამარჯვების სიგელები ჩამოაქვთ ჩვენს მოსწავლეებს, რაც უდავოდ მათი პედაგოგების უდიდესი შრომის შედეგი და დამსახურებაა. კუპატაძის, ჩაჩუას კონკურსების გამარჯვებულები ვართ, არაერთი დიპლომი, 10-11 პირველი ადგილი ჩამოგვსვლია "დელფიადადან" და კიდევ ბევრი სხვა კონკურსი, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. გაძლიერდა სიმებიანი და ხალხური საკრავთა განყოფილებები. სკოლაში არ იყო და ახლა ერთ-ერთი წამყვანია ვოკალური განყოფილება. სახელოვნებო სკოლად გადაკეთების შემდეგ განახლდა ოთარ მასწავლებლის დიდი კონტაქტები ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სასწავლებელთან. ხალხური საკრავების განყოფილებაში მხოლოდ ერთი, მაგრამ კარგი პედაგოგი მერი ტკვაცირია გვყავდა. მირიან გაჩეჩილაძე ჩამოვიყვანეთ. სწრაფი ტემპით წავიდა საქმე წინ. ვოკალურ განყოფილებაში პროფესორია ბატონი რამაზ კუბლაშვილი, რომელიც ქუთაისიდან მოვიწვიეთ. სიმებიან განყოფილებაში უდიდესი წარმატებები აქვთ ნათია გაბრიაძეს, მაყვალა სანიკიძეს. არ მინდა უყურადღებოდ დამრჩეს ადგილობრივი კადრი, ფორტეპიანოს კლასი. ძალიან გამოცდილი პედაგოგები არიან. ახალგაზრდებიც მათ შორის, რომლებმაც მუსიკალური ნათლობა ჩვენს მუსიკალურ სკოლაში, როგორც ადრე ერქვა მას, მიიღეს.

რამდენიმე წელია, სათავეში ჩავუდექი ვაჟთა ვოკალურ ჯგუფს "ბერიკა". მახარებს ამ ბიჭების ნიჭიერება. ყველაფერს ვაკეთებ და გავაკეთებ იმისთვის, რომ სულ უფრო დაიხვეწონ და მუსიკალურად გაიზარდონ ისინი. წარმატებებიც გვაქვს, ვართ კონკურსის "გვამღერია, კვლავაც ვიმღერთ" პირველი ადგილის, რესპუბლიკური კონკურს-ფესტივალის "ნორჩი მუსიკოსები" დიპლომის საუკეთესო სამემსრულებლო ოსტატობისთვის მფლობელები. "დელფიადა 2012-ის", კალიფორნიის მუსიკალური ასოციაციის მიერ ჩატარებული ტალანტშოუს გამარჯვებულები. გასულ წელს ანა აბზიანიძესა და ანსამბლ "იმედთან" ერთად ძალიან კარგი კონცერტი გავმართეთ. ერთი სიტყვით, ძალიან დატვირთულ რეჟიმში ვმუშაობთ. სახელოვნებო სკოლაში წლის განმავლობაში 6-7 გრანდიოზული კონცერტი იმართება, საახალწლოს საგაზაფხულო კონცერტი მოჰყვება, მერე შემაჯამებელი საღამო სასწავლო წლის ბოლოს, მეშვიდეკლასელთა დამშვიდობების კონცერტი, კონცერტი სიმებიან ორკესტრთან. ყველა მათგანში ბავშვებთან ერთად ჩვენი პედაგოგებია ჩართული. გარდა ამისა, "მოახერხა" და აამღერა ისინი ნონა ჭახნაკიამ. ესეც ძალიან ალამაზებს ამ სანახაობებს.

_ საბოლოოდ სამტრედიაში სიყვარულმა დაგტოვათ არა?

_ ჰო, ასე გამოვიდა. უკვე ორმოცი წელი გავიდა. ბევრი ლამაზი დღე, ბევრიც რთული შეიკრიბა და 40 წელი დაამრგვალა. თემურ აბზიანიძის ცოლობა არც იოლი და არც უბრალო საქმეა. ყველაფერი კი ჩემი თანაკლასელის ოჯახში დაიწყო, სადაც თემურმა პირველად მნახა. ჩემი გაცილება მოინდომა და იმ ოჯახის წევრების თანხლებით ქუთაისში ჩასვლამდე ერთ ოჯახში, ანუ ამ სახლში გამოვიარეთ. აქ რომ მოვედით, აქაურობა ვიცანი და ვთქვი, რომ ნამყოფი ვიყავი. როგორც აღმოჩნდა, ეს გახლდათ ფეხბურთელ რევაზ ძოძუაშვილის გარე ბიძაშვილების სახლი და აქ, როცა სამტრედიაში მუშაობა დავიწყე, დედამისმა ამანათი გამომატანა. პირველად ამით დასრულდა ყველაფერი. სულ ორჯერ შეეხვდით ერთმანეთს. მესამედ თბილისში, მამიდას ბინაში ამომაკითხა კუკიაზე. თემურს მისი მეგობარი, ცნობილი მსახიობი ნუგზარ ყურაშვილი ახლდა. მაშინაც ჩემი გაცილება მოინდომეს, მაგრამ ამჯერად თბილისიდან ქუთაისში უნდა წამოვსულიყავი და ვაგზლამდე მივაცილებთო, უთხრეს მამიდას. მამიდა არ თანხმდებოდა, ქუთაისლებმა ვაგზალზე რომ დაგინახონ, რას იტყვიანო. ასე თუ ისე, მისი გაიტანეს. ნუგზარმა თქვა, სოხუმიდან ახალი გადაცვლილი მაქვს ბინა თბილისში და გასაღები უნდა დავტოვო მეზობელთანო. გავიარეთ მის ბინაში და მეზობელთან გასაღები კი არა, მე დამტოვეს იქ.

თემური სოხუმში სწავლობდა სუბტროპიკული ინსტიტუტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე. ამასთანავე, სიმღერაზე და საერთოდ, მუსიკალურ ხელოვნებაზე შეყვარებული, 6 წელი ანსამბლ "ორაიდაში" მღეროდა. იგი ძალიან ნიჭიერი მომღერალია. შესანიშნავად უკრავს გიტარასა და ფორტეპიანოზე. სოხუმში დიმა ჯაიანთან და ბიჭიკო ტორონჯაძესთან ერთად ცხოვრობდა ბინაში.

ახლა რომ ვამბობ, 40 წელია ერთად ვართ-თქო, მიკვირს. როგორ გაფრინდა ეს დრო. სიტყვით იტყვი და არაა პატარა, არადა, უცებაა, როგორ უცებ იცით, უკან მოიხედავ და ... რა დრო გასულა! რადგან სულ რამდენიმე შეხვედრამ ჩაიტია და დაიტია ჩვენი შეულლება, ნამდვილი სიყვარული უკვე დაქორწინებულებს, დაახლოებით, ერთი წლის შემდეგ გვეწვია. მას შემდეგ ჩემი ყველა დღე იწყებოდა და მთავრდებოდა თემურიზე ფიქრით. ერთი ქალიშვილი გვყავს, რომელსაც დღეს მისი ოჯახი ჰყავს, და ის მეუბნება _ დედა, შენ ხარ დამუხტული მამაჩემით! გარდა სიყვარულისა, რომელიც ვერც გავიგე, როდის და როგორ მოვიდა, დიდი პატივისცემაც დამეუფლა მის მიმართ. თემური იმსახურებს ამას, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების გარკვეულ პერიოდში დაძაბული ურთიერთობებიც გვქონდა. და ეს იმიტომ, რომ მას, ძალიან ნიჭიერს, ერუდირებულს, ძალიან კეთილშობილს, ბევრ წარმატებასთან ერთად ჩავარდნებიც ჰქონდა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ საკუთარი ნიჭის რეალიზებას ვერ ახდენდა, საკუთარ შესაძლებლობებს ვერ იყენებდა ცხოვრების გარკვეულ პერიოდში. იგი საკონსერვო ქარხანაში მუშაობდა. შემდეგ ღანირის წვენების საამქროში. ოთხმოცდაათიანებში სამსახური დაჰკარგა. დროც ძალიან ცუდი იდგა, გახსოვთ, ალბათ, უმუშევრობის განცდამ თავისი ჰქნა. ყველა ერთნაირად ვერ უმკლავდება პრობლემებს. ნამდვილ ხელოვანებს ან თუნდაც სხვა ნებ-

სტუდენტები თვითმმართველობისთვის

ნინო ნანიტაშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია "მოქალაქის" მიერ დაფინანსებული "სტუდენტები თვითმმართველობისთვის" პროექტის ფარგლებში სამტრედიას სამი ახალგაზრდა სტუმრობდა. მარიამ მუქერია, გიგა შუბითიძე და ვანო ყაულაშვილი 20 თებერვალს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდნენ. ორშაბათის ტრადიციული თათბირის ოფიციალური ნაწილის დაწყებამდე სტუდენტებმა თავიანთი თავი და არასამთავრობო ორგანიზაცია წარუდგინეს და სამტრედიაში მათი ჩამოსვლის მიზანი გააცნეს.

მოგვიანებით მუნიციპალიტეტის გამგებლის, ვალერიანე ფოცხვერიას კაბინეტში იმ სამი სოფლის წარმომადგენელს შეხვდნენ, რომელთაგან ერთში სტუდენტები პროექტის განხორციელებას შეუდგებიან. ახალგაზრდებმა უფროსებს "სტუდენტები თვითმმართველობისთვის" არსი გააცნეს, ასევე განუმარტეს, რომ შეთავაზებული სამი სოფლიდან ისინი ერთს აირჩევენ, სადაც ჩაატარებენ კვლევას პრობლემებსა და საჭიროებებზე, აირჩევენ გუნდში ადგილობრივ წევრებს, რათა აქტიურად ჩააბან ისინიც პროექტში.

მარიამ მუქერია, სტუდენტი: "პროექტი წინა წლებშიც მუშაობდა და ძალიან წარმატებულად. მას ორმხრივი ღირებულება გააჩნია. ახალგაზრდები აქტიურად ვერთვებით ადგილობრივ თვითმმართველობაში, კერძოდ, ადგილებზე ვეცნობით მმართველობის სპეციფიკას, მოსახლეობის მდგომარეობას და მათ ჩართულობას. და მეორე _ ჩვენი მონაწილეობით კვლევებით, ვეხმარებით ხელისუფლებას სოფლებში არსებული პრობლემების აღმოჩენაში, რომელსაც მეტი ყურადღებით ეკიდებიან.

წელს არის პირველი პრეცედენტი, როცა პროექტი ჯგუფში ადგილობრივი მოსახლეობიდან ახალგაზრდების ჩართვას უშვებს. ჩვენ შერჩეულ სოფლებში გავალთ და მოვნახავთ ისეთ ახალგაზრდებს, რომლებიც დაგვეხმარებიან ადგილობრივი პრობლემების გამოვლენაში".

არასამთავრობო ორგანიზაცია "მოქალაქის" მიერ დაფინანსებული პროექტის "სტუდენტები თვითმმართველობისთვის" წარმომადგენლებს ვალერიანე ფოცხვერიამ იმ დღეს ნაბაკევის, ეწრისა და საჯავახოს წარმომადგენლები შეახვედრა. მუნიციპალიტეტის გამგებელი ახალგაზრდებს კონსტრუქციულ თანამშრომლობას დაპპირდა: "ძალიან კარგი პროექტია, ჩვენს მუნიციპალიტეტში იგი შარშანაც წარმატებით განხორციელდა. დღეს სტუდენტებს სამი სოფლიდან წარმომადგენლები შევახვედრე. ალბათ, არჩევანს თავად გააკეთებენ. მე ჩემი მხრიდან, რაც კი იქნება საჭირო, მათ თემს მხარში ამოვუდგები, რადგან მჯერა, ეს პროექტი ორი კარგი საქმის განხორციელებას ემსახურება. ახალგაზრდები ეცნობიან ადგილობრივი თვითმმართველობის სპეციფიკას და ახალგაზრდული თვალით აღმოაჩენენ სოფლებში პრობლემურ საკითხებს".

ისმიერი პროფესიის ადამიანს, უჭირს ასე უეცრად დროზე მორგება. თემურსაც ასე მოუვიდა. სასმელმა თავისი გაიტანა და დიდი ზიანი მიაყენა მის ჯანმრთელობას. ახლა ძალიან განიცდის ამას. მაგრამ, როცა ოჯახი გიყვარს, ქმარი გიყვარს ან საერთოდ, ადამიანი გიყვარს, არ შეიძლება და არ შეგიძლია იგი ადვილად შეატოვო განსაცდელს. შეყვარებული ქალი მარტო თავისთავზე არ კი არა, ვერ ფიქრობს. შვილზე ზრუნვა სხვა არის და მეუღლე, რაც არ უნდა გაგაბრაზოს, გაგანერვიულოს, სხვაა ქალისთვის. თუ საკუთარი ნერვების, სურვილების, განცდების მოსაფერებლად ხელაღებით დატოვე ადამიანი საკუთარ იმედგაცრუებასა და სისუსტესთან, არ გყვარებია იგი. ჩვენ ერთად დავძლიეთ ეს ჩავარდნა. ბევრის ფასად, მაგრამ მაინც დავძლიეთ! ხომ ხედავთ აქაურობას, ეს თემურის სამფლობელოა, ასეთი მყუდრო, შინაგანად მართალი და მოსიყვარულეა იგი, ასეთი მხატვრულია, მუსიკალურია. შეიძლება, არ გიყვარდეს კაცი, რომელსაც ამგვარი სამყარო აქვს? მადლობას ვწირავ უფალს, რომ მას შემახვედრა!

_ როგორც ვიცი თქვენი მეუღლე სამტრედიის ერთ-ერთ კოლორიტად ითვლებოდა. მას განსაკუთრებული სამეგობრო წრეც ჰყავდა.

_ მისადმი პატივისცემას მისი გარეგოცვაც აღმიძრავდა. მართლაც გამორჩეულად კარგი და ნიჭიერი სამეგობრო წრე ჰყავდა თემურს. ახლა ბევრი მათგანი ცოცხალი აღარაა. ამას წინათ, ცრემლები მოგვერია მათ გახსენებაზე. ამ ოთახს, თემურის სამფლობელოს, ამ ოჯახს, დიდი და ღირსეული ტრადიციები რომ ჰქონდა ყოველთვის, ბევრი ცნობილი ადამიანის სტუმრობა ახსოვს. ჩვენთან გამართული საღამოები მართლა შეიძლება ჩაითვალოს სალონური საღამოების ნიმუშად. ქეიფი და ღრეობა არასდროს იყო აქაური ლხინი. ანსამბლი, მომღერალი და მოცეკვავე, მსახიობი და თეატრალური დასი არ ჩამოვიდოდა სამტრედიაში, აბზიანიძეების ამ ფუძეს რომ არ სწვეოდა, ჩვენ რომ არ გვემასპინძლა. ანსამბლი "75", "ივერია", მესხიშვილის თეატრის ყველა გასტროლი ჩემთან მთავრდებოდა, იმიტომ, რომ მე იქ ვმუშაობდი. "სუხიშვილების" გოგო-ბიჭები აქ სტუმრობდნენ. გოგი დოლიძე, იქამდე, ერთხელ, კონცერტის წინ დაუუთოვებლად დარჩენილი მისი პერანგი სასწრაფო წესით დამაუთოვებია თემურმა. აქ სტუმრობდა სოხუმის თეატრის ყველა მსახიობი. სტუმრობდნენ ბიჭიკო ტორონჯაძესთან და სტუმრობდნენ ჩვენთან.

საერთოდ ჩემი მეუღლის ოჯახი უძველესი ოჯახია სამტრედიაში. ჩემს დედამთილ-მამამთილს სხვა მრავალთან ერთად დიდ ტრადიცია ჰქონდათ სტუმრის პატივისცემისა. ვერიკო ანჯაფარიძიდან დაწყებული ბევრი სახელოვანი ადამიანი ახსოვს სტუმრად ამ სახლს. ეს ნანი ბრეგვაძის დეიდას ოჯახია. ჩემი მამამთილი, კოლია აბზიანიძე, "ორსის" დირექტორი, კულტურის განყოფილების გამგე, აღმასკომის თავმჯდომარე გახლდათ სამტრედიაში. სახელოვანი მშობლების შვილობა დიდი პასუხისმგებლობაა. სტუმარი ყოველთვის უყვარდათ და ეს

სიყვარული ჩემს მეუღლესა და მის დას, ძალიან კარგ ადამიანს, ფარიდასაც გამოჰყვათ. სამწუხაროდ, ჩემი მული ავარიის გამო ადრეულ ასაკში დაინვალიდდა, მისი მეუღლე ომარ კიკნაძე, პროფესიით მხატვარ-არქიტექტორი, რუსტავის მთავარი არქიტექტორი გახლდათ. ავარიის დროს იგი იქვე გარდაიცვალა. მათ ძალიან კარგი შვილები ჰყავთ. სანამ ჩემი დედამთილ-მამამთილი ცოცხლები იყვნენ, სხვანაირი, უბრუნველი ცხოვრება გვქონდა. მათ მერე კი, ტრადიციული ოჯახის პასუხისმგებლობა ჩვენზე გადმოვიდა.

_ ულამაზესი ქეთი აბზიანიძის დედა ბრძანდებით. ადრე დაოჯახდა თქვენი ერთადერთი ქალიშვილი...

_ ჰო, ასე მოხდა და ამას ძალიან განვიცდიდი, დიდხანს ვერ დავივიწყე და უკმაყოფილებასაც გამოვხატავდი ამის გამო. მაგრამ მადლობა უფალს, რომ მის გვერდით ძალიან პატიოსანი და კარგი ადამიანია. ლაშა სოხანეიშვილი გახლავთ ჩემი სიძე. ქუთაისში ცხოვრობენ ბავშვები. მყავს ორი ძალიან ნიჭიერი შვილიშვილი, 19 წლის თემური და 14 წლის თეკლა. ბაბუებს ორივე მხრიდან თემური ჰქვიათ და ორი კურდღლის დაჭერა გამოუვიდათ ბავშვებს. მყუდრო და ლამაზი ოჯახი აქვთ. თეკლა ცოტა ხნის წინ კავკასიის თასის მფლობელი გახდა სამეჯლისო ცეკვებში. პირველთანრიგოსანი მოცეკვავე იყო, ამჯერად კი საქართველოს მასშტაბით შვიდეულში მოხვდა. ძალიან კარგად მღერის ქეთიც და ბავშვებიც. თემო არაჩვეულებრივად უკრავს გიტარაზე.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ქუთაისი დიდი ტკივილია ჩემთვის. ძალიან მიყვარს ჩემი მშობლიური ქალაქი. გული მწყდებოდა, ქუთაისში რომ არ ვცხოვრობდი და მიხარია ჩემი ქალიშვილის ოჯახი იქ რომ არის. ქუთაისში ჩემი ძმა ცხოვრობს, მაგრამ მტკივა, რომ ჩემი ბავშვობის სახლი ულამაზეს ძველისძველ უბანში თეთრ ხიდთან დღეს ჩვენი აღარ არის.

_ ძალიან სათუთად გაზრდილი ქალიშვილის დედა, ალბათ, განსაკუთრებით პრეტენზიული სიდედრი ბრძანდებით...

_ სულაც არა, შვილო. ვთვლი, რომ ცოლ-ქმრის საქმეში არავინ უნდა ჩაერიოს. ყველა ქალს და ალბათ, ჩემს ქეთისაც ჰქონია ოჯახში რაღაც პრობლემები, მაგრამ, ჯერ ერთი, ისინი ჩემამდე არ მოსულა, მეორეც, ისე მოაგვარა ყველაფერი ჩემმა სიძემ, ჩარევაც არ გამხდარა საჭირო. ჩემი მძახალი, ქეთის დედამთილი მეუბნება: იზო, ორი და მყავს და მესამე შენ ხარო. ლაშამ კი იცის თქმა, ძმაკაცი ხარ ჩემიო. სხვისი მოგვარებული პრობლემებით, თუნდაც, ეს სხვა მშობლები იყვნენ, ცოლ-ქმარი ერთმანეთს ვერ შერჩება, საკუტარი ურთიერთობები მათ თავად უნდა "შეაკეთონ". და ერთიც, არ მახსოვს, ჩემს შვილიშვილებს გაეპროტესტებიოთ ჩემგან მიცემული შენიშვნა, თუნდაც, მიუღებელი იყოს ის მათთვის, ან დედამისისთვის ეთქვათ, ბებომ გვისაყვედურაო. ეს ძალიან მსიამოვნებს.

_ ბევრი რამ დრომ გადაასხვაფერა, გადაახალისა ადამიანების მენტალობაში. სინდის-ნამუსი გამარტივდა-თქო, ვფიქრობ ზოგჯერ. ასეა ადამიანებთან ურთიერთობაშიც და ოჯახთან მიმართებაშიც. როგორ ფიქრობთ, ეს თანამედროვეობაა მხოლოდ, თუ ასე უფრო მისაღები და სწორია?

_ არაფერი არ გამარტივდა. სინდის-ნამუსს დრო ვერც წაგართმევს და ვერც მოგცემს. ის ან გაქვს, ან არა. ახლა უფრო ცხადი და ხილული გახდა ბევრი რამ, რაც აქამდე დამალული იყო, ესაა და ეს. ტრადიციის ადგილი, უპირველესად, ოჯახშია და მეტწილად ისეთი იზრდება ბავშვი, ისე ყალიბდება ადამიანად, პიროვნებად, როგორც მის ფუძეზეა მიღებული, რაც გენში უდევს და ამ გენეტიკურ კოდს ვერაფერი მოშლის. ადამიანები განსხვავებული ხასიათებით კარგ ოჯახებს ქმნიან, მაგრამ ერთმანეთს ვერ ეწყობიან ადამიანები განსხვავებული მორალური შეხედულებებით. ამაში მხოლოდ ცოლ-ქმრული ერთგულება არ იგულისხმება, შვილო! ეს ერთგულებაც ჯერ მორალიდან მოდის და მერე სიყვარულისგან. ახალს არაფერს ვიტყვი იმით, რომ ოჯახის სინდის-ნამუსი ქალია და საერთოდ, ოჯახის ხერხემალია ქალი, რადგან იგი უფრო ამტანია, უფრო ძლიერია. რა არ გავაკეთე ოჯახი რომ არ წამექცია, მაგრამ ამას არასდროს ვაყვედრი ჩემს მეუღლეს, ეს მოვალეობაც იყო ჩემი, როგორც ქალის. საკუთარი პროფესიის პარალელურად რა საქმეს არ მოვკიდე ხელი. ამაშიც ქალობა, დიასახლისობა დამეხმარა და ავად თუ კარგად მოვედით დღემდე.

_ საუკეთესო დიასახლისი რომ არის იზო მასწავლებელი, ეს ყველასთვის ცნობილია. მისი უგემრიელესი ტორტი და არა მხოლოდ ტორტი, ბევრს გაგვისინჯავს ...

_ თავის ქებად არ ჩამომართმევთ ალბათ, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ძალიან მიყვარს, მეორეც გამომდის ასეთი რამეები. მიქებენ და ალბათ, მოსწონთ. სხვათა შორის, დიასახლისობამ და სამზარეულომ გადამარჩენია შვიდი წლის მანძილზე ოჯახი. ვისაუბრეთ უკვე ამაზე, კვების ობიექტებში ვმუშაობდი. ახლა მგონი სიბერე შემომეპარა და როცა ვიკითხავ რამეს, როგორ აკეთებთ-თქო, ეცინებათ. ჩემი ქეთი ჩემზე უკეთესი დიასახლისი დადგა. ზოგჯერ ვურეკავ, ხოლმე, დედა ამას როგორ აკეთებ-თქო და მეტყვის _ დამცინი დედა?! გულით უნდა მიუდეგე, არ უნდა დაგღალოს და მოგბეზრდეს და ყველაფერი გამოგივა. და არა მხოლოდ სამზარეულოშია ეს ასე. არ დაგიმალავთ, რეპეტიტორობას ვეწევი და ყოველთვის ვეწეოდი. ჩემი ნამეცადინები 88 მოსწავლე გამახსენეს გოგოებმა, სხვადასხვა მუსიკალურ სასწავლებლებში რომ სწავლობენ. ესეც ჩემი პროფესიის სიყვარულმა შემაძლებინა. რასაც სიყვარული ახლავს, ყველაფერი კარგია, ნათელია და კეთილად მთავრდება.

_ ძალიან სიმპათიური მეუღლე გყავდათ ძალიან ლამაზ ქალბატონს. ალბათ, მისით დაინტერესებული ქალბატონების გადამეტებულ ინტერესს ვერ ასცდებოდით. ბატონ თემურს ეღიმება უკვე...

_ სამტრედია პატარაა და ყველამ ყველაფერი იცის, რას დამალავ აქ. იყო და თან ძალიან ბევრიც იყო. ვღიზიანდებოდი, ვბრაზდებოდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ თემური თავად არ იჩენდა მათდამი ყურადღებას და რომ იტყვიან, აღარ მადარდებდა ამგვარი მცდელობები.

_ ყველაზე დასამახსოვრებელი საჩუქარი, რაც მეუღლისგან მიგიღიათ.

_ სხვათა შორის, მანებივრებდა საჩუქრებით. არაფერი გამორჩებოდა, არც დღესასწაული, არც დაბადების დღე. ყველა მისი საჩუქარი მდიდრული და გემოვნებიანი იყო. საერთოდ, თემურს გემოვნება არ დაეწუნება არც ერთ საკითხში. იცით რა, რომ გადავხედავ გზას, რომელიც გავიარე, უკან რომ მოვიხედავ, უფალს ვეუბნები, მადლობა უფალო იმისთვის, რაც მარგუნე და ვევედრები ერთს, მადლობელი ვარ უფალო იმისა, რაც მაქვს. მთავარია, ჯანმრთელობა და მშვიდობა მქონდეს, სხვა ყველაფერი, ადრე თუ გვიან მოგვარდება!

ოი, შე ლოქაბის ჯალო....

ნათია ნაცვლიშვილი

თებერვლის თხუთმეტს, ულამაზესად ბარდნიდა გარეთ, როცა მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დარბაზში 26 წლის ჭაბუკად დარჩენილი და მარადისობაში გადასული ლადო ასათიანის ლექსი ხმიანობდა. იდეა, პოეტის დაბადებიდან 100 წლისთავი აღენიშნათ, ჩვენი გაზეთის პასუხისმგებელ მდივანს, ლევან გაბეჩავას ეკუთვნის. საბიბლიოთეკო ღონისძიებათა უცვლელი და საუკეთესო წამყვანი, თავადვე გახლდათ საღამოს მთავარი მომხსენებელი.

ლადოს ლექსების ჯადო-თილისმამ ერთნაირად დაბანგა დიდიც და პატარაც. მისი ლექსის ცქცხლმა, კრწანისის ყაყაჩოებივით ააბრიალა პატარა დეკლამატორთა თვალები. ლადო ასათიანის სიცოცხლისუნარიანობაც სწორედ იმაშია, რომ მისი სასიყვარულო სტროფები ("შემოვხვდებიან ჩემი ფიქრები"), პატრიოტული ლირიკა ("დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს") თუ ლექსად გარითმული რაინდული ღირსების კოდექსი ("რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი"), ერთნაირად ხიბლავს თინეიჯერსაც და ასაკში შესულსაც. ამიტომაც არ გაგვკვირვებია, ასაკოვანმა ქალბატონმა, მაყვალა კანდელაკმა ნაწყვეტი ლადოს პოემიდან "ბასიანის ბრძოლა" ისევე გატაცებით რომ წაიკითხა, როგორც სხვადასხვა საჯარო სკოლების მოსწავლეებმა წაიკითხეს ლადოს პოეტური მარგალიტები. დარბაზში მყოფი ინტელექტუალური პუბლიკა კიდევ ერთხელ დაპურდა ლადოს ულამაზესი პოეზიით.

ღონისძიება ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ, მზია ჩიხლაძემ გახსნა.

ლევან გაბეჩავა: "განგებამ 26 წელი გაიმეტა ლადო ასათიანისთვის. მისმა მშობლებმა სიდუხჭირეს თავი ვერ გაართვეს თურმე და სოფელ ბარდნალასათვის შეუფარებიათ თავი. მელქისედეკ ასათიანს, პატარა ლადო თავის ბიძასთან, სოფლის წისქვილში დამხმარედ დაუყენებია. ლადოს 37-ში დედა გადაუსახლეს, მერე პოეტი, როგორც ხალხის მტრის შვილი, ინსტიტუტიდანაც გარიცხეს, თუმცა მოგვიანებით შეძლო თავი აღედგინა. ...1967 წელს მწერალთა კავშირში ლადოს იუბილე აღუნიშნავთ ქართველ მწერლებს. ირაკლი აბაშიძეს უთქვამს: თქვენი არ ვიცი და რაც მე დღემდე გამიკეთებია, ის ლადომ 5 წლის განმავლობაში შეძლოო. დიდ კონსტანტინეს კი უბრძანებია: წაიკითხეთ ლადო ასათიანის ლექსები და თქვენ საქართველოს ისტორიას შეისწავლითო. ბედის ირონიაა ისიც, რომ როცა ჭაბუკი პოეტი ამ ქვეყნიდან წავიდა, არავის ეცალა მისი პომპეზური დაკრძალვისათვის."

მოსწავლეებმა წაიკითხეს ასევე მეგობრებისა თუ მეუღლის, ანიკო ვაჩნაძისადმი მიწერილი ლადოს შესანიშნავი წერილები. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინსტრუმენტალური ანსამბლის "ჩანგი" (ხელმძღვანელი მერი ტკვაცირია) წევრებმა საღამო ულამაზესი მელოდიებით დაამშვენეს. სპონტანურად მოიხმო სცენაზე მომღერალმა საბა ჩაჩუამ დედა, ანა აბზიანიძე ულამაზესი სიმღერის დუეტში შესასრულებლად. მათმა ნამღერმა სიმღერამ "საქართველო" მართლაც მოაჯადოვა დარბაზი. ლექსის სტიქიას ვერც დარბაზში მჯდომი სამტრედიის კოლორიტი, გივი ღაღანიძე გადაურჩა და ლადოს "სალაღობო" წაიკითხა. მან მადლობა გადაუხადა ღონისძიების ავტორებსა და მონაწილეებს. სამტრედიელთა "დედა ტერეზამ" ნათელა გელეიშვილმა კი ლადოს ქალიშვილთან, მანანასთან ურთიერთობის ეპიზოდები გაიხსენა და სიამაყით განაცხადა, მამისეული ჩანაწერები წამაკითხაო. მადლობა, ჩემს ახალგაზრდობაში რომ დამაბრუნეთო, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურმა და აღნიშნა: "ლადოს ლექსებზე გაზრდილი ბავშვები ჭეშმარიტი პატრიოტები იქნებიან, წამია წუთისოფელიო, ბრძანა პოეტმა, არადა, ამ წამშია შექმნილი "ოდისეა", "ილიადა", "ვეფხისტყაოსანი", "სვეტიცხოველი", ლადოს პოეზია...

ბებიის რანგში გულშემატკივრობდა ოთო შუბლაძეს გამგებლის მოადგილე, პოეზიის დიდი დამფასებელი, ლიზა კრავეიშვილი: "მუნიციპალიტეტის გამგებელს, ვალერიანე ფოცხვერიას განსაკუთრებულად უყვარს ლადო ასათიანის შემოქმედება, მაგრამ დღეს დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო მოსვლა ვერ შეძლო და მადლიერების გრძნობა გამოხატა თქვენდამი, მეც იგივეს გეტყვით იმის გამო, რომ წლების განმავლობაში არ ღალატობთ ტრადიციას_ ამა თუ იმ საინტერესო მოვლენას გამოეხმაურոთ". ღონისძიებას მისეული ეშხი შეჰმატა ვანელმა და სამტრედიელთათვის საყვარელმა პოეტმა აკაკი თევზაძემ ლექსით, რომელიც ამქვეყნიდან ნაადრევად წასულ პოეტებს უძღვნა. გულთბილი ემოციები გამოხატა პოეტმა ბექა ფოცხვერიამ მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკისადმი, ბექა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტია. მან ახალგაზრდებს დეკლამატორული ნიჭი შეუქო და დასძინა, ტკივილით დაწერილ ლექსებს ღიმილით წაკითხვა შვენისო. ბექამ ლევან გაბეჩავას იდეაც მოიწონა, უნივერსიტეტში მოიძიოს აუდიტორია, სადაც თავის დროზე სწავლობდა ლადო ასათიანი და რაიმე ნიშნით უკვდავყოს ეს ამბავი. საოცარი მუხტითა და განცდით წაიკითხა სამკითხველო დარბაზის მთავარმა ბიბლიოთეკარმა, ამ ღონისძიების ერთერთმა სულისჩამდგმელმა, რუსუდან კახიანმა მურმან ლებანიძის მიერ ლადოსადმი მიძღვნილი ულამაზესი ლექსი.

ჩვენი კოლეგა, შოთა პაპავა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია, მან აღნიშნა:

"ვუერთდები დღევანდელ ამაღლებულ განწყობას. ვრცელდება მოსაზრებები, რომ შეცვლილია პოეზიისადმი დამოკიდებულება, ლადოს პათეტიკური შეძახილი თითქოს დრომოჭმული და მოძველებულია... მართალია, უცილობლად უნდა აღინიშნოს, მისი ლექსის პოეტური მაჟორი, თუმცა მგოსნურ ექსპრესიასაც არ უნდა ავარიდოთ მზერა. ასათიანის სიტყვა, მსგავსად აკაკისა და გალაკტიონისა, ჯერ ნინელ-ჭაბუკობაში ფეხშეუდგამთა გონებასაც კი მიეახლება, 5 წლის ირაკლი კეკვაძემ მისცა ამას დღეს დასტური. ეძიებდ გონებითა და ჰრბიოდე სარბიელთა ცისათა" _ ძველი ქართველი მწერლის ამ სიტყვებს ეხმიანება ლადოს პოეზიაში ოსტატურად კომბინირებული ადამიანის გონისმიერ-სულისმიერი ფიქრი."

დეკანოზი ანტონ ვაშაკიძე: "მადლობა მოწვევისათვის, მადლობა ამ ღონისძიების ორგანიზებისათვის, არსებობს ანთროპოსოფიური თეორია, რომლის მიხედვით ამტკიცებენ, რომ სიტყვა, რომელსაც ადამიანი წარმოსთქვამს, არის მისი შინაგანი სამყაროს მანიშნებელი, გამოხატულება. არსებობს შეხედულებაც, ლამაზი სიტყვა ტანჯული სულისგან წარმოიშობაო, დიდ შემოქმედთა ბიოგრაფიულ ხაზს გასდევს ეს დრამატული ხასიათი, ყოველ დიდ შემოქმედს თავისი ბიოგრაფიით მწუხარებასთან, მელანქოლიასთან, პესიმიზმთან აქვს კავშირი. დიდ შემოქმედთ ასეთი ნეგატიური გამოცდილება ჰქონდათ. ლადო ასათიანიც მათ შორის გახლავთ. თამამად შეიძლება მას ვუწოდოთ დიდი შემოქმედი. ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში, რომელიც განგებამ მას არგუნა, შეძლო შესანიშნავი სიტყვა ეთქვა ისეთ ესთეტიკურ კატეგორიაში, როგორიცაა პოეზია. არსებობს გამოთქმა, სწორად მოხმარებული სიცოცხლე არც მეტად გრძელია და არც მეტად მოკლე. მცირედი ასაკი, რომელიც მას ერგო, სწორად მოიხმარა პოეტმა და მარადისობას შეუთავსა. ღმერთმა აცხონოს მისი სული."

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე: "განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ლადოს პოეზიას ეზიარა დღეს ახალგაზრდობა, ვაჟას, გალაკტიონის და ლადოს, ჩვენი სასიქადულო პოეტების ლექსებზე აღზრდილ თაობას წარმოუდგენელია, სამშობლო არ უყვარდეს. უღრმესი მადლობა როგორც ღონისძიების ორგანიზატორებს, ისე მონაწილეებს."

აკაკი შანიძის საიუბილეოდ

ლევან გაბეჩავა

ამ დღეებში 130 წელი სრულდება ჩვენი სასიქადულო მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს დედა უნივერსიტეტის ერთ-ერთი მესაძირკვლის, ქართული ენათმეცნიერების პატრიარქის, აკაკი გაბრიელის ძე შანიძის დაბადებიდან.

ორი აზრი არაა, მის მშობლიურ ნოღაში, სამტრედიასა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ მნიშვნელოვან თარიღს სათანადოდ აღნიშნავენ.

ამჯერად კი, ამჯერად მცირეოდენი შემოკლებით ვბეჭდავთ მეცნიერის ზუსტად ნახევარი საუკუნის წინანდელ მიმართვას საქართველოს ახალგაზრდობისადმი. 80 წლის გახლდათ აკაკი შანიძე მაშინ.

საქართველოს ახალგაზრდობას

"ახალგაზრდებო, ვაჟებო და ქალებო!

თქვენ მოგმართავს კაცი, რომელიც 80 წლისა გახდა და რომელსაც თავისი სიცოცხლის გრძელ მანძილზე ბევრი რამე უნახავს და დიდი გამოცდილება მიუღია. მინდა, ჩემი გამოცდილება გაგიზიაროთ.

გამიგონია: ახალგაზრდას უთქვამს: ნეტაი ვიცოდეო! მოხუცს უპასუხნია: ნეტაი შემეძლოს! ამ სიტყვებით დიდი სიბრძნეა გამოხატული. მართლაც ახალგაზრდებს ცოდნა აკლიათ, მოხუცებს ძალ-ღონე, რომ შეძენილი ცოდნა სათანადოდ გამოიყენონ. ცხოვრება კი ისეთია, რომ ცოდნის გარეშე ვერას გახდები, განსაკუთრებით ჩვენს ურთულეს დროში. ამიტომ პირველი, რაც უნდა გირჩიოთ, ეს არის ცოდნის შეძენა განსაკუთრებით იმ დარგში, რომელიც თქვენ გიყვართ...

...მეორე რაც უნდა გირჩიოთ, ეს არის მუდმივი შრომა, როგორი ნიჭიც არ უნდა გქონდეთ, უშრომლად ვერაფერს გააკეთებთ.

...უნიჭოდ, რა თქმა უნდა, ვერაფერს მნიშვნელოვანს შექმნის კაცი, მაგრამ თუ ნიჭი არ იქნა მოვლილი, თუ იგი შრომით არ იქნა გაბრწყინებული, ისე დაიღუპება, რომ ვერავითარ კვალს ვერ დასტოვებს.

ახალგაზრდებო, თქვენი ბედი და ჩვენი ქვეყნის მომავალი თქვენზეა დამოკიდებული, თუ მოინდომებთ, შორს გაიგდებთ თქვენს სახელს და ჩვენს ქვეყანასაც ასახელებთ ხალხის სიყვარულითა და ხალხის სამსახურით.

გამოცდილებით ვიცი, რომ ცოდნის შეძენა უფრო ახალგაზრდობაშია ადვილი, ამიტომ უნდა ერიდოთ დროის ტყუილ-უბრალოდ დაკარგვას, უდარდელობას და ფუქსავატობას.

ყველა თქვენგანს შეუძლია დიდი საქმე გააკეთოს და ვალი მოიხადოს ქვეყნის წინაშე.

თქვენი გამარჯვებისა ახალგაზრდებო!

აბა, თქვენ იცით!"

როგორც მაშინ, დღესაც ყურადსაღებია დიდი მეცნიერის ეს სიტყვები.

"საქართველოის ყოვლის მპყრობელმან, ვისურვე დავით"

მეთერთმეტე საჯარო სკოლის ბაზაზე მხარეთმცოდნეობის წრე უკვე მრავალი წელია ფუნქციონირებს. 34 წელია, მას ამავე სკოლის ისტორიის პედაგოგი, მარინა ქართველიშვილი ხელმძღვანელობს. წრეს საფუძველი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩაეყარა. ამჯერად მხარეთმცოდნეობის წრის წევრებმა, მეთერთმეტე სკოლის მეექვსეკლასელებმა, ქართველთა დიდ მეფეს, დავით აღმაშენებელს ღია გაკვეთილი მიუძღვნეს. ღონისძიება-გაკვეთილი ერთობ საინტერესოდ წარიმართა. მოსწავლეებს დიდი მეფის შესახებ საკმაოდ ვრცელი მასალა დაუმუშავებიათ, მათ დავითის ეპოქის შესანიშნავი ცოდნა გამოავლინეს.

მოსწავლეთა თქმით, ყველა ქართულ ტაძარში 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს წირვა აღევლინება. ვრცლად ისაუბრეს დავითის მიერ გატარებულ რეფორმებზე, იმაზე, როგორ ჩაიბარა 16 წლის ჭაბუკმა დაუძლურებული ქვეყანა და როგორ აქცია ძლიერ სახელმწიფოდ. განსაკუთრებული აქცენტი დიდი მხედართმთავრის მიერ მოგებულ "დიდგორის ომზე" გაკეთეს, რომელიც "ძლევაი საკვირველის" სახელით შევიდა საქართველოს ისტორიაში, ხოლო საბრძოლო ხელოვნების ისტორიაში _ საუკეთესო ბრძოლად. როგორ სძლია უდიდესმა მეფემ 56 ათასიანი ქართული ლაშქრით 100-150 000-იანი ილ-ღაზის არმიას. თურქული კავალერია იმ დროს განთქმული სამხედრო ძალა იყო. ხანგრძლივ ომს ქართველთა ლაშქარი ვერ გაუძლებდა, ამიტომაც, მეფემ ტაქტიკურ ხერხს მიმართა, რომლის წყალობითაც არეულობა გამოიწვია მტრის ლაშქარში და ქართველებმა ილღაზის არმიას 70 კილომეტრის მანძილზე სდიეს, 8 დღის მანძილზე ერეკებოდნენ მტრებს საქართველოს საზღვრებიდან.

მოსწავლეებმა ასევე ქართველ პოეტთა ლექსებიც წაიკითხეს დავით აღმაშენებელზე. გაკვეთილზე ასევე ნაჩვენები იქნა ნაწყვეტები დოკუმენტური ფილმებიდან, სადაც ცნობილი ქართველი ისტორიკოსები დავითის ეპოქაზე საუბრობენ.

პედაგოგმა მარინა ქართველიშვილმა დიდი ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით დაასრულა გაკვეთილი: "ვივიწყებთ წარსულს, ვკარგავთ მომავალს. ეცადეთ, თქვენს ისტორიას არ მოსწყდეთ!

"სამტრედიის მაცნესთან" საუბარში მარინა ქართველიშვილმა აღნიშნა:

"ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრე მოკრძალებული ღია გაკვეთილით გამოეხმაურა ამ დიდი მეფის ხსენების დღეს. მაქვს იმედი, ეს ახალგაზრდები საქართველოს ისტორიას ჯეროვნად დააფასებენ, ასეთი გაკვეთილებით გააცნობიერებენ დიდი მეფეების ღვაწლს და ისტორიის გაკვეთილებსაც უკეთ ჩაუღრმავდებიან".

ტატა გოგუაძე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი: " ძალიან კარგი გაკვეთილი იყო, მადლობა მარინა მასწავლებელს და მის მოსწავლეებს. ქალბატონი მარინა ყოველთვის გამორჩეული იყო თავისი შრომისმოყვარეობითა და პასუხისმგებლობის გრძნობით."

ნათია ნაცვლიშვილი

იმიტირებული პრეტენზია ტრეფიკინგის თემაზე

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმატებულ სტუდენტს, ბექა ფოცხვერიას კარგად იცნობს მკითხველი, იგი მესამე კურსელია.

კიდევ ერთი წარმატებით გაგვახარა ბექამ.

ამას წინათ, იუსტიციის სამინისტროსა და სამინისტროს სასწავლო ცენტრის ეგიდით, ტრეფიკინგის თემაზე, იმიტირებული პროცესები მოეწყო. მასში მონაწილეობის უფლება საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების სტუდენტებს (გუნდებს) ჰქონდათ.

"განაცხადი ორმოცდაოთხმა გუნდმა გააკეთა. ფინალში რვა გუნდი უნდა გასულიყო, რვა გუნდიდან პირველი ადგილი და ფინალის საგზური ჩვენი უნივერსიტეტის გუნდმა "დიკემ" მოიპოვა. სწორედ ამ გუნდის ერთ-ერთი წევრი გახლდით დამცველის პოზიციით". _ გვითხრა ბექამ.

რაც შეეხება ფინალს, კახეთში, სასტუმრო "ამბასადორში" გაიმართა, სადაც "დიკემ" მესამე, თუმცა, მაინც საპატიო ადგილი დაისაკუთრა.

აღსანიშნავია, რომ "დიკე" ერთადერთი გუნდი იყო რეგიონებიდან, სხვა გუნდები კი დედაქალაქში არსებული უნივერსიტეტებიდან იყვნენ წარმოდგენილები.

"დიკეს" ერთ-ერთი წევრი ნიკა გოგია საუკეთესო მომხსენებლად რომ იქნა დასახელებული, ბექამ ესეც სიამოვნებით აღნიშნა და დასძინა, რომ მსგავს აქტივობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავალ სამართალმცოდნეთა პროფესიული დახელოვნების საქმეში.

ლევან გაბეჩავა

წიგნის საჯაhოდ კითხვა...

31 მილიონს გადააჭარბა წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეთა რიცხვმა.

100-ზე მეტი ქვეყანა, მათ შორის საქართველოც შეუერთდა ინიციატივას.

16 თებერვალს მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის (დირექტორი ლამარა დუნდუა) სამკითხველო დარბაზში ერთგული მკითხველები, ახალგაზრდები შეიკრიბნენ და წიგნის კითხვის მსოფლიო დღე აღნიშნეს.

თამუნა ჯინჭველეიშვილი, თიკო მიქელაძე, მარიამ აბრამიშვილი, ვახტანგ ნიკოლეიშვილი, ლუკა ტუღუში, ნინო ტორონჯაძე... აი, ღონისძიებაში მონაწილეთა არასრული ჩამონათვალი.

იყვნენ ახალბედა ავტორებიც, რომელთაც თავიანთი შემოქმედება აუდიტორიის წინაშე პირველად დააჭამნიკეს.

შეკრებილთა წინაშე წარსდგნენ და წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეს ღონისძიებაში ჩართულობით გამოეხმაურნენ: ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მზია ჩიხლაძე, სამკითხველო დარბაზის მთავარი ბიბლიოთეკარი რუსუდან კახიანი, ფილოლოგი ნინო ტონია, მხატვარ-კარიკატურისტი შოთა პაპავა და სხვები. წიგნთან მეგობრობისაკენ მოუწოდეს მათ ახალგაზრდებს.

ლევან გაბეჩავა

"საუნჯე"

ლევან გაბეჩავა

მათემატიკოსი, მეტალურგი, მთამსვლელი...

გიორგი ნიკოლაძის შესახებ ვისაუბრებთ ამჯერად რუბრიკაში "საუნჯე"

არა მარტო თავად ნიკო ნიკოლაძემ, მისი ოჯახის თითოეულმა წევრმა უდიდესი წვლილი შეიტანა ეროვნული მეცნიერების ცალკეული დარგებ-

ის, კულტურის, აზროვნების განვითარების მამულიშვილურ საქმეში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ნიკოს ვაჟიშვილის _ გიორგის ღვაწლი ქვეყნის წინაშე.

ჯერ კიდევ სტუდენტობისას ძლიერ დაინტერესდა ტანვარჯიშით და ისე ბეჯითად იწყო წვრთნა, რომ მალე პირველი ხარისხის დიპლომები დაიმსახურა და წარმატებით გამოვიდა საერთაშორისო სატანვარჯიშო შეჯიბრებებში. უნდა ითქვას, რომ სიტყვა "ტანვარჯიში", ისე, როგორც სიტყვა "მთამსვლელობა", გიორგი ნიკოლაძის მიერაა შემოღებული და დამკვიდრებული.

ნ. მუსხელიშვილთან და ა. ხარაძესთან ერთად ის 1920 წელს გამოცემული "რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონის" და 1925 წელს დასტამბული "მათემატიკური ტერმინების ლექსიკონის" შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა. ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, ნაკლებად ეხმარათ ქართულ ენაში უცხო ტერმინები.

"1923 და 1925 წლებში "მყინვარწვერმა" და "იალბუზმა" პირველად მოიხარეს ქედი ქართველი მთასვლელის წინაშე, ეს მთასვლელი კი გიორგი ნიკოლაძე გახლდათ". _ წერს ერთგან გ. ნიკოლაძის გარდაცვალების 25-ე წლისთავთან დაკავშირებით თამაზ ებანოიძე.

1926 წელს გ. ნიკოლაძე საზღვარგარეთ გაემგზავრა, იგი პარიზში აკადემიკოს კარტანთან მუშაობს, ფრანგი აკადემიკოსი გიორგის "ბუნებით გეომეტრად" თვლიდა. ქართველი ახალგაზრდა ინტენსიურად ირკვევს ალგებრულ წირებთან დაკავშირებულ გეომეტრიულ კონფიგურაციებს. პარიზში ყოფნისას გამოიგონა გიორგიმ ელექტრული არიტრომეტრი და მოგვცა აღწერილობა.

ამონარიდი ისევ თამაზ ებანოიძის წერილიდან: "თითქოს პირი შეიკრეს, დიდი უბედურებები ერთიმეორეზე დაიძრნენ გიორგისაკენ. 1928 წელს მამა გარდაეცვალა და დაკრძალვაზე ჩამოსვლაც კი ვერ შეძლო, ერთი წლის შემდეგ, "თეთნულდზე ასვლისას მის თვალწინ დაიღუპნენ ცნობილი მთამსვლელები: პ. დვალი, ს. ჯაფარიძე, მალევე გარდაიცვალა გიორგის უახლოესი მეგობარი ანდრია რაზმაძე. მძაფრად განიცადა გიორგიმ ყოველივე და საკმარისი აღმოჩნდა ერთი ავადმყოფობა, რომ უცებ გაეტეხა რკინასავით მაგარი მისი სხეული".

1931 წლის იანვარი. ქარიშხლიან ღამეს საჭირო გახდა გიორგის მისვლა მისივე ხელმძღანელობით აგებული დიდუბის ფერომანგანუმის საცდელ ქარხანაში, სადაც მან 20 საათი გაატარა გავარვარებულ ღუმელთან. ორ დღეს იარა ფილტვების ანთებით ქარხანაში. მერე სარეცელს მიეჯაჭვა ხანმოკლედ და... იმავე 1931 წლის 5 თებერვალს იგი 43 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სოფელ დიდ ჯიხაიშში, სამტრედიასა და საქართველოში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა და ტარდება ნაადრევად გარდაცვლილი მრავალმხრივი ნიჭით მირონცხებული კაცის ხსოვნის უკვდავსაყოფად. ეს ციცქნა პუბლიკაციაც ამისი დასტურია მეცნიერის გარდაცვალებიდან 86-ე წლისთავთან დაკავშირებით.

ლიზა ნადირაძე _ პირველი მეტალურგი ქალი

ფოთი. სკოლის ეზოში ახოვანი კაცი შემოვიდა და მოსწავლეებს შეხვდა. პროფესორი გიორგი ნიკოლაძე გახლდათ იგი.

მოსწავლეებთან გულახდილი საუბრის შემდეგ გადაწყვიტა მაშინ მეათეკლასელმა ლიზა ნადირაძემ მეტალურგი გამხდარიყო და ოცნება სისრულეში მოიყვანა, იგი თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოეწყო და მთელი ენერგიით შეუდგა მეტალურგის რთული პროფესიის დაუფლებას. წარჩინებული სტუდენტი მალე მიავლინეს უკრაინაში იუზოვკის მეტალურგიულ ქარხანაში, სადაც მან შესანიშნავი პროფესიული წრთობა მიიღო და უამრავი მეგობარიც შეიძინა.

"მომწერეთ, რამდენი ბრძმედი მუშაობს, უსათუოდ წადით "ბრძმედის" სამყაროს "საორთქლქვაბებში" და ნახეთ იქ "აირსაყვანის" კლაკნილი, რომელიც დიდ ობობას ჰგავს. ეს "აირსაყვანი" ჩემი კონსტრუქციის არის, ჩემი დახაზული და გამოანგარიშებულია". ამ კლაკნილის ნახაზი რომ იშოვოთ და ჩამომიტანოთ, ძალიან მადლობელი ვიქნები. აგრეთვე ეცადეთ, № 1 ბრძმედის ნახაზი იშოვოთ". _ წერდა გიორგი ნიკოლაძე ლიზა ნადირაძეს.

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა დიდუბეში საცდელი ქარხანა გაიხსნა, იქ სხვა ხელმძღვანელებთან ერთად ლიზა ნადირაძე _ პირველი მეტალურგი ქალიც მიიწვიეს.

1933 წელს ზესტაფონის ქარხანამ პირველი ქართული პროდუქცია _ ფეროშენადნობი გამოუშვა.

ქართველ მეტალურგთა ამ მორიგ წარმატებაშიც განუზომელია ლიზა ნადირაძის წვლილი.

მომდევნო წლებში ლიზა ნადირაძე ავჭალის ცენტროლიტის ქარხანაში მუშაობს, ხოლო შემდეგ, საქართველოს მეტალურგიის გულში, ქალაქ რუსთავში.

უკვე ღვაწლმოსილი მეტალურგი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ქალბატონი დიდხანს ენერგიულად მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ერთ-ერთ ლაბორატორიაში და პირადი წვლილი შეჰქონდა დარგის შემდგომი განვითარებისა და ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების საქმეში.

ნატვრა

პოეზიის ცეცხლით დაწვა
თუ ოდესმე მეც მხვდა წილად,
თუ მიმიღო დიდმა შოთამ
მეც ერთ თავის შვილიშვილად.
თუ ილიამ ახალბედას
დიდი გზები დამილოცა,
თუ აკაკიმ ჩანგი მიქო
და ვაჟამ არ გაიოცა,
მაშინ მჭექარ ამ ჩემს სიტყვას
ქარიშხალიც ვერ გაღუნავს,
მეც ხომ ქართლის დედამ მზარდა
და ქართული ქუდი მხურავს.

მაშინ ახალბედა პოეტ თემურ ჩალაბაშვილის ეს ლექსი ჟურნალ "დროშას" 1971 წლის ივლისის ნომერშია დაბეჭდილი.

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ.

არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ დღეს თემურ ჩალაბაშვილის სახით ქართულ პოეზიას ბრწყინვალე შემოქმედი ჰყავს.

ქართული მწერლობის შენაძენია პოეტის ლამაზი სტრიქონები, მკითხველთა მოწონებას რომ იმსახურებენ, მათ ავტორს კი კანონიერად აღიარებენ, როგორც ქართული ლექსის დაუნჯებულ ოსტატს.

პაპა და შვილიშვილი

"ამ სურათს ბევრი განმარტება არ სჭირდება _ ყოველი მკითხველი უმალ იცნობს დიდ ქართველ მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას. იგი თავის საყვარელ, მუხისაგან გამოჭრილ სავარძელში ზის. გულზე რომ ბავშვი ეხუტება, ისიც კონსტანტინე გამსახურდიაა, მისი შვილიშვილი, ისიც მწერალი გახლავთ. ესკიზები: "სოფელში", "თავისთვის და სხვისთვის", "იგავ-არაკი" სწორედ მას ეკუთვნის _ კონსტანტინე მცირეს. მისი პირველი მოთხრობა "მოსიყვარულე დოთია" შარშან დაიბეჭდა.

პაპა ოთხმოცი წლისაა, შვილიშვილი _ ათი წლისა, ისინი განუყრელი მეგობრები არიან. პაპა _ აკადემიკოსი, შვილიშვილი _ ჯერ მესამე კლასშია, სხედან ორივენი კოლხურ კოშკში და წერენ... დასვენების წუთებში გამოდიან კოშკის ეზოში და თვალს ადევნებენ ბალახებში მოთამაშე შვლის ნუკრს.

ვუსურვოთ დიდ კონსტანტინეს დღეგრძელობა ჩვენი ხალხის, ჩვენი კულტურის საკეთილდღეოდ, ხოლო პატარა კონსტანტინეს ვუსურვოთ დამსგავსებოდეს თავის პაპას."

ეროსტრატეს გამოტრეტი
შეკონილიყოს ერთიანი.

ეს ფოტო და წერილიც იმავე 1971 წლის ჟურნალ "დროშას" ივნისის ნომერშია დაბეჭდილი.

დიდი კონსტანტინე კარგა ხანია ზეციური საქართველოს ბინადარია, ხოლო მისი შვილიშვილი კონსტანტინე გამსახურდია ღირსეულად აგრძელებს სახელოვანი პაპისა და მამის ტრადიციებს. რაც შეეხება ფოტოს, უკვე ისტორიული დატვირთვა აქვს და ამიტომაც გადავწყვიტეთ "საუნჯეში" მისი გამოქვეყნება.

ბეხო კაკალიძე

გაგრძელება. დასაწყისი "სამტრედიის მაცნე" № 4

ღვთის მადლი

მოთხრობა

როდესაც ჯემალმა მანქანა სამმართველოს წინ გააჩერა, ვახტანგი დინჯი, საქმიანი ნაბიჯით კიბეს აუყვა:

_ ნელი, ვაჟას კაბინეტში შევიკრიბოთ, _ ბუღალტერს გადაულაპარაკა და ლიასთან ერთად მეორეზე ავიდა. მდივანმა კაბინეტის კარი გაუღო და პირველი მოადგილე შიგნით შეუშვა. ვახტანგმა კარი მიხურა, საწერ მაგიდას მიუახლოვდა, ერთი წამით გაინაბა, ლოყებზე სიწითლემ გადაჰკრა, ღიმილი აუთამაშდა და ხელისგულები ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვა. მუხის ძველებურ სკამს, რომელზეც ვაჟა იჯდა, მიუცუცქდა და პიჯაკის სახელო საზურგეს რამდენჯერმე სათუთად წაუსვა. კარისკენ გაიხედე, დარწმუნდა, რომ მარტო იყო, დაიხარა და ტუჩებით ისე დაეწაფა, თითქოს ლამაზ ქალს კოცნიდა. სკამი მაგიდიდან გამოწია, ფრთხილად ჩამოჯდა და გაინაბა. _ მთელი ცხოვრება ამას ველოდი და ბოლოს მეღირსა, დავჯდები ამ სკამზე, აუცილებლად დავჯდები, _ მაგიდის ზედაპირს ხელებს უცაცუნებდა და ბედნიერი ბუტბუტებდა. ტელეფონს გადასწვდა, ნომერი აკრიფა.

_ ბატონო ედიშერ, გამარჯობა, ვახტანგი ვარ. როგორ ბრძანდებით? ახლახან მმართველი გარდამეცვალა და... მქონდეს თქვენი იმედი? უღრმესი მადლობა, პატივისცემა ჩემზე იყოს. მეუღლეს მოკითხვა, კარგად ბრძანდებოდეთ, _ დაკიდა ყურმილი და ღილაკის დაჭერით მდივანი გამოიძახა.

ქალმა კაბინეტში შემოიხედა:

_ დიახ, _ ოდნავ გაოცებული შეაცქერდა ვახტანგს, რომელიც ყოფილი უფროსისა და საყვარლის სავარძელში მოკალათებულიყო.

_ დაურეკე მეორე მოადგილეს, ტექნიკური განყოფილების უფროსს და ბუღალტერს, დროზე ამოვიდნენ! _ პირველი ბრძანება გასცა ვახტანგმა.

ლიას არაფერი უპასუხია, კარი მიხურა, სამუშაო მაგიდას მიუჯდა და დავალების შესრულებას შეუდგა. როდესაც ყველასთან დარეკა, სიგარეტს მოუკიდა:

"ისეა ვაჟას სავარძელში გაჯგიმული, რომ მმართველად ნაღდად მაგას დანიშნავენ. საქმეს უნდა მივხედო", _ გაიფიქრა, სიგარეტი საფერფლეს დაასრისა, სარკეში ჩაიხედა, თმა შეისწორა, წამოდგა და მმართველის კაბინეტისკენ გაემართა. _ ბატონო ვახტანგ, _ უჩვეულოდ თავაზიანად მიმართა.

_ დიახ, _ ოცნებებში წასული მამაკაცი მდივანს მიაჩერდა.

_ რამდენიმე წუთში ყველანი აქ იქნებიან, _ ქალმა პაუზა ჩამოაგდო, შემდეგ ჩაახველა. _ ყავას ხომ არ მიირთმევთ?

_ სიამოვნებით, _ ვახტანგმა კმაყოფილმა გაუღიმა და მრავალმნიშვნელოვანი მზერა ესროლა.

კაბინეტში შემოსულ სამმართველოს ხელმძღვანელობას ბუღალტერი შემოჰყვა. სახეზე ყველას მწუხარება აღბეჭდოდა. ისეთი სიჩუმე იდგა, ბუზის გაფრენას გაიგონებდით. ვახტანგმა თანამშრომლებს გადახედა, ერთი ამოიოხრა:

_ დიახ, _ აქეთ-იქიდან დაუდასტურეს.

_ ცხონებული ყველა თანამშრომელს პატრონობდა, ეხმარებოდა, ახლა ჩვენ ვითავოთ და ღირსეულად დავკრძალოთ. ნელი, ანგარიშზე თავისუფალი თანხა რამდენი გვაქვს? _ ვახტანგმა სიგარეტს მოუკიდა.

_ ბატონო ვახტანგ, რამდენია საჭირო?

_ ალბათ, სამი-ოთხი ათასი გვეყოფა.

_ ასეთი თანხა ჩვენთვის პრობლემა არ იქნება.

_ ძალიან კარგი, _ ჩაილაპარაკა და კაბინეტში შემოსულ ლიას შეხედა, რომელსაც ხელში ყავით სავსე ფინჯანი ეკავა. _ გმადლობ, _ გაუღიმა და ტექნიკური განყოფილების უფროსს მიუბრუნდა. _ კახა! _ ყავა მოსვა.

_ დიახ, _ მამაკაცმა სმენა მიაპყრო.

_ ხვალ მიხვალ რედაქციებში და გაზეთებში სამგლოვიარო განცხადებებს დააბეჭდინებ.

_ მარტო სამმართველოს სახელით?

_ მოიცა, მოიცა, ერთი სამინისტროში დავრეკო, _ ტელეფონის ყურმილი დაიხელა და ნომერი აკრიფა. _ ბატონო ბეგლარ, ვახტანგი ვარ...

_ გისმენ, ვახტანგ.

_ სამგლოვიარო განცხადება სამინისტროს სახელითაც გამოვაქვეყნოთ?

_ აუცილებლად.

_ ბატონო ბეგლარ, სამმართველოს ანგარიშზე თავისუფალი თანხა აქვს და დაკრძალვის ხარჯი სულ რომ გავიღოთ, რამე უხერხულობას ხომ არ შეექმნით? _ ვახტანგი დამწუხრებული საუბრობდა.

_ არა, ცხონებული ნამდვილად ღირსი იყო, _ დაეთანხმა ბეგლარი.

_ კარგად ბრძანდებოდეთ, _ ყურმილი დაკიდა ვახტანგმა. _ კახა, ნორმალური ტექსტი შეადგინე და განცხადებები სამინისტროს სახელითაც მიეცი.

_ დაკრძალვა და პანაშვიდები როდის არის, რომ არ ვიცით.

ჰოო, _ ვახტანგმა ფინჯანი გამოცალა და წამოდგა. _ მე და ლევანი (მეორე მოადგილე) საავადმყოფოში მივალთ, სანამ ცხონებულს სახლში გადაასვენებენ, ყველაფერს დავაზუსტებთ და იქიდანვე შეგატყობინებ. ნელი, კახას განყოფილებაში ბიჭებს დილით ასი ლარი მიეცი, ერთი კარგი გვირგვინი შეუკვეთონ და პანაშვიდზე ავიტანოთ.

_ დიახ, _ ქალმა ცრემლი მოიწმინდა.

_ ლევან, წავედით!

_ ბატონო ვახტანგ, შემკვეთთან მაქვს დასარეკი და გზაშივე დაგეწევით.

_ მიდი, დროზე.

_ ახლავე, _ მამაკაცმა კაბინეტი სირბილით დატოვა, თავის სამუშაო ოთახში ნაჩქარევად შევიდა, მობილური ამოიღო და ნომერი აკრიფა. _ მამიკო, დედას დაუძახე... ნუნუ, ყურადღებით მისმინე, მმართველი გარდაიცვალა... როდის და დღეს. მომისმინე! _ ლევანმა ტონი გაამკაცრა. _ ბიძაშენი მარტო სუფრაზე რომ იძლევა დაპირებებს, საქმე ჩააწყოს და მმართველად დამნიშნონ... ახლა მეჩქარება, საქმეს მიხედე, დანარჩენს სახლში გეტყვი, _ ლევანი კაბინეტიდან გამოვიდა და კიბეს სირბილით ჩაუყვა.

ვაჟას ყველაფერი ესმოდა და ყველაფერს ხედავდა....

სხეული რომ ჰქონოდა, ყველას ერთს უთავაზებდა და ფურთხსაც არ დაიშურებდა, მაგრამ მისი შინაგანი სამყარო სათუთმა გრძნობამ, მათდამი სიბრალულმა მოიცვა. ეს არ იყო ისეთი უბრალო შეცოდება, როგორითაც, მაგალითად, ქუჩაში მათხოვარ ან მაწანწალა ბავშვს შეიბრალებ ან გული რომ მოგიკვდება, როდესაც ნაგვის ურნაში მოფუსფუსე მოხუცებულს შენიშნავ, ან დილით, როცა გაიღვიძებ, სიგარეტის ფუღლით არა გაქვს და საკუთარ თავს უზომოდ შეიცოდებ. არა, ეს არ იყო ასეთი უბრალო სიბრალული. იმ მომენტში მასში დაბუდებულ სიბრალულს განზომილება არ გააჩნდა და ვაჟამ, ერთი გააზრებით, სახელიც კი მოუგონა _ "არასოდეს მომნატრებოდეთ!"

სულდარდიანი საავადმყოფოს დერეფანში დაბრუნდა. მისი მეგობრები, მერაბი და სანდრო ფანჯარასთან ატუზულიყვნენ.

"მამაჩემი ვაჟამ დამიკრძალა, ორასკაციანი ქელეხიც გააკეთა, მაგრამ მე მაგის მეათედსაც ვერ გავქაჩავ", _ ფიქრობდა სანდრო, თან ოროსანი მოწაფესავით თავი ჩაექინდრა. _ "ბიძია, ეგ ცხონებული მთელი ცხოვრება სახელმ-

ცხენი

მორიდებით ვკითხავ ირაკლი ვაშაკიძეს, ჩემს ვანოს ბევრი ჩანაწერი აქვს და გაზეთში რომელიმე მათგანს თუ დავუბეჭდავდით. "ცხენი" თვითონ შეარჩია. სამედიცინო უნივერსიტეტში საკონკურსო თემად აურჩევია ვანოს და გაუმარჯვნია კიდეც.

ინტელექტი, ცოდნა, თემის ირგვლივ შეჯერებული მსჯელობის უნარი და კარგი მოქართულეობა _ ყველაფერი აღიქმება ავტორის ხელით ნაწერი რვეულის ფურცლებიდან. და კიდევ, ცხენი უყვარდაო, მამამ, ალბათ, "დაუოკებელი სისწრაფის" სურვილის გამო, ამქვეყნიდან ნაადრევად წასულ ბიჭს სიცოცხლის წყურვილს რომ უმძაფრებდა.

ცხენი არ არის მხოლოდ არსება, რომელიც მრავალი საუკუნეა ადამიანთან ერთად ცხოვრობს და ცვლის გარემოებებს, ის იდეაცაა, რომელმაც თავისი ადგილი ჰპოვა ისტორიის ფურცლებზე, ასტროლოგიაში, მითოლოგიასა თუ უკვდავ ლიტერატურულ ნაწარმოებებში.

მრავალი ათასი წელია, ცხენი ადამიანს ერთგულად ემსახურება. კაცობრიობის არსებობის განმავლობაში მისი დახმარებით არაერთი ბრძოლა წარმართულა და გადაწყვეტილა კიდეც. ის მიეკუთვნება რიცხვს იმ არსებებისა, რომლებიც დაკავშირებულია სახელოვან პიროვნებებთან, მაგალითად, ისტორია ალექსანდრე მაკედონელსა და ბუცეფალზე, რომელთა შესახებ მრავალი საისტორიო წყარო მოგვითხრობს.

მითოლოგიაში ცხენს დიადი და სახელოვანი წარმომადგენელი ჰყავს და ეს პეგასია, როგორც მას ეძახდნენ, ფრთოსანი რაში, რომელიც ზევსის საკუთრებას წარმოადგენდა. დადიოდა ლეგენდად, რომ ფრთოსანი რაშის სიკვდილის შემდეგ ის თანავარსკვლავედად გადაიქცა. ცხენზე მრავალი მითი შექმნილა, რადგან ამ არსებას ძველ დროში განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

ყველაზე საინტერესოდ ცხენის იდეა ლიტერატურულ ნაწარმოებებშია წარმოჩენილი. იმის მაგალითად, თუ როგორი სიახლოვეა ცხენსა და ადამიანს შორის, გავიხსენოთ კ. გამსახურდიას "დიდოსტატის მარჯვენას" პროლოგი, სადაც მხედარი და დაუცხრომელი ცხენი დარდიმანდა უხილავ კავშირს ამყარებენ. ეს ორი არსება გაერთიანდება დაუოკებელი სისწრაფის სურვილით. ერთ არსებად ქცევა თავის ლექსში ნიკოლოზ ბარათაშვილმაც გამოიყენა. "მერანით" ის ცდილობს ამქვეყნიური სინამდვილისაგან თავის დაღწევას. მან ცხენს უდიდესი მისია დაკისრა და სრულად მიანდო თავისი ბედიღბალი, ხოლო "მერანის" ნაკვალევი სამუდამოდ დაუტოვა მომავალ თაობას.

ყველაზე რთული მისია, რაც კი ცხენისთვის მიუნდიათ, ჩემი აზრით, აღწერილია ჰომეროსის "ილიადაში". ისტორიაში კარგად ცნობილი სახელი "ტროას ცხენი", რომლის იდეაც დიდ მეფე ოდისევსს ეკუთვნის და იდეა, რომელმაც აიღო ქალაქი ტროა. რატომ ცხენი და არა რომელიმე სხვა არსება? მეფე ოდისევსმა კარგად იცოდა, თუ რაოდენი პატივისცემა ჰქონდა ყველას ამ არსებისა და რომ ტროელი ასეთ საჩუქარზე უარს არ იტყოდა. ამ იდეამ ბოლომდე გაამართლა და ცხენის პატივისცემამ აიღო ლეგენდად ქცეული ქალაქი ტროა. ჰომეროსი გენიოსი იყო და ზუსტად მოარგო ტროას აღება ცხენის არსებას და არა ლომს ან თუნდაც სხვა რომელიმე ცხოველს. ცხენის იდეის უკვდავება ჰომეროსის უკვდავ ქმნილებასთან ერთად მიაბიჯებს.

დღესდღეობით, ტექნოლოგიის ერაში, ცხენი კვლავაც არ კარგავს აქტუალურობას და შეუპოვრად მიიწევს ახალ-ახალი თავგადასავლებისაკენ.

ვანო ვაშაკიძე

"სიცოცხლეს დაჰკრავს ცრემლების გემო"

წელიწადი გავიდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ამირან ნიკოლეიშვილის გარდაცვალებიდან.

მწუხარე სიტყვებს ვეძებთ თქვენს სულიერ სიღრმეზე, ინტელექტზე, მაღალ მოქალაქეობრივ და მეცნიერულ ღირებულებებზე წარსულ დროში სალაპარაკოდ!

ჩვენო დაუვიწყარო მეგობარო, წელიწადია, ზეციურ საქართველოში გარდასული გქვიათ. ვერავმა სენმა სულიერად ვერ გაგტეხათ, ვაჟკაცური სითამამით დაუხვდით სიკვდილს და ჩუმად, უხმაუროდ, უპრეტენზიოდ მიიხურეთ ამქვეყნიური ცხოვრების კარი, ძალზედ ადრე, რა დასანანია!..

ჩვენ, თქვენს მეგობრებს მუდმივად აკლიხართ. თქვენი მოგონებებით სავსეა თითოეული ჩვენგანი. ცხოვრებისეულ მოვლენებს თქვენი გადმოსახედიდან ვაკვირდებით და ვაფასებთ. ხშირად, ამა თუ იმ ფაქტზე საუბრისას ვამბობთ, ამას ბატონი ამირანი მისთვის ჩვეული პირდაპირობითა და სიღრმისეული განსწავლულობით მიუდგებოდა-თქო.

სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარემ შექმენით ნაშრომი "ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან", რომელიც ხელნაწერში დატოვეთ, რომლის რედაქტირება და წიგნის სახით გამოცემა ითავა და განახორციელა თქვენმა ერთგულმა მეგობარმა ბატონმა აკაკი თევზაძემ. აღნიშნული უკანასკნელი ნაშრომით, კალმით ხელში, მძიმე სენისაგან ძალაგამოცლილი გამოეთხოვეთ და მოეფერეთ სათაყვანებელ საქართველოს და ქართველ ხალხს, როგორც უკანასკნელმა ქართველმა მოჰიკანმა.

აფერუმ, თქვენს ვაჟკაცობას, ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია!

თქვენმა უცხოელმა მეგობარმა ჟურნალისტმა ტომაშ კუჩერამ თქვენი გარდაცვალების შემდეგ ჩეხეთში გამოაქვეყნა თქვენს შესახებ რამდენიმე სტატია და 2016 წლის ბოლოს ჩეხურ ენაზე გამოცემულ წიგნში _ უახლეს საქართველოზე დიდი პატივისცემითა და სიმპატიებით იგონებს თქვენს პიროვნებას როგორც ქართველ რაინდსა და მაღალი დონის მეცნიერსა და მკვლევარს.

ჩვენ, თქვენი მეგობრები სანთლებით ხელში, მოვალთ თქვენს საფლავთან მოვიხრით ქედს თქვენი ხსოვნის წინაშე, ეს დღე სავსე იქნება არა მარტო სინანულითა და მწუხარებით, არამედ მადლიერებითაც, რომ ჩვენ, თქვენი მეგობრები გვქვია.

...თუმც საოცარი დასრულდა წლები
სიცოცხლეს დაჰკრავს ცრემლების გემო,
არა, ამირან შენ ჩვენში რჩები
და კვლავ ზეციხკენ აფრენას ჩემობ...

ჩვენ კვლავ შევავედრებთ უფალს თქვენს სულს, გვწამს, თქვენი სული დამკვიდრებული იქნება იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. ამინ!

პარიეტა რუსია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
თამარ რაზმაძე პოეტი და პედაგოგი
ნინო მიქელაძე პედაგოგი
თეიმურაზ ჯულაყიძე პოეტი და პედაგოგი
აკაკი თევზაძე პოეტი და შემოქმედი
აკაკი რუხაძე პოეტი
ისიდორე ჯანელიძე ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ბეჟან გოგიას ბიძის

ბატონი გოგი ლოლაძის

გარდაცვალების გამო.

ვანო ალოგაძის გახსენება

გულისტკივილით გიგონებთ ჩვენო უღალატო, სიცოცხლეზე გულდაწყვეტილო მეგობარო. ვიგონებთ იმ ბედნიერ დღეებს, ერთად რომ ვიყავით.

ნათელი არ მოჰკლებოდეს შენს წმინდა საფლავს.

შეუსრულებელ დაბადების დღეს გილოცავთ.

ვილოცებთ შენი სულისთვის.

მეგობრები: მელა ჭკადუა, ქეთევან ჭავჭანიძე

ჭანი პრავეიშვილის გახსენება

ჩემო საყვარელო ძმაო ჭანი, ათი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. ნაადრევად დაიკლიდ შენს საყვარელ ოჯახს, დედმამიშვილს, ახლობლებს. მონატრებაზე ძნელი და სიკვდილზე შემზარავი არაფერი ყოფილა ამქვეყნად. ენატრები შენს საყვარელ დედას, რომელიც სულ გიხსენებს. ჩვენო დიდო იმედო, შენ ჩვენს გულებში სამუდამო ტკივილად დარჩები.

მუდამ ვილოცებთ შენი კეთილი სულის უკვდავსაყოფად.

ანჟელა ოგაზანიძე

წიფოს ღლეტდა, მუქთა მაყუთს შოულობდა და გიკვირს, ორასკაციანი ქელეხი რომ გამაკეთებინა?! მე ლექტორი კაცი ვარ და ვიღაც ჩინოვნიკს მატერიალურად როგორ გავუტოლდები?! არა, არა, ამაზე ფიქრი სისულელეა", _ თავი ისე გააქნია, როგორც კამეჩმა, ბუზების მოშორებას რომ ლამობს, ოღონდ მას აზრების განდევნა სწადდა.

_ რა იყო? _ შეეკითხა მერაბი...

_ არაფერი, ვაჟა მეცოდება, _ მოიტყუა სანდრომ და თავი ისევ ჩაჰკიდა.

"თამადად ნაღდად მე დამნიშნავენ", _ ფიქრს მიეცა მერაბი. _ "ქელეხში ხუთასი-ექვსასი კაცი იქნება. მოადგილეებად ვინ დავნიშნო? ერთი მზიას საყვარელი, ბეგლარი უნდა იყოს. მეორე?" _ სანდროს გადახედა. _ "არა, ამან ორსაათიანი სადღეგრძელოები იცის, ჩემზე მეტს ილაპარაკებს, თან მაგისი ლაილაის თავი არავის ექნება. პრობლემა არ არის, იქ გადავწყვეტ", _ მამაკაცი ფანჯარას მოშორდა. _ სანდრიკ, წამოდი, მოვწიოთ, _ ორივენი კიბის უჯრედისკენ გაემართნენ.

ვაჟა დარეჯანთან და ვალერისთან (სიდედრი და სიმამრი) შეყოვნდა. ქალის მიხატულ-მოხატული სახე ცრემლს დაესველებინა, დანამულ ღაწვებს ცხვირსახოცით იმშრალებდა და მეუღლეს მღელვარედ, ოღონდ ჩურჩულით ესაუბრებოდა:

_ წყნეთის ავარაკი ერეკლეზე გააფორმა, თუ პირველი ცოლიდან გველისწიწილს უტოვებს?!

_ არ ვიცი, _ ვალერიამ მხრები აიჩეჩა.

"მთელი ცხოვრება ასეთი გამოთაყვანებული იყავი, არასოდეს არაფერი იცოდი, ეს გოგოც შენ დაგემსგავსა, ამ იდიოტს ცოლად რომ გაჰყვა!" _ დარეჯანი ისეთი წამოჭარხლებული შეჰყურებდა მეუღლეს, იფიქრებდით, მაღალი წნევა აქვსო.

_ რას მიყურებ, ადამიანო, არ ვიცი და მოგატყუო, ვიცი-მეთქი! _ გაწიწმატდა ვალერი.

_ არ ვიცი და ჯანდაბას ჩვენი სიძის თავი! _ ტუჩებზე ცხვირსახოცაფარებული საუბრობდა დარეჯანი. _ "შენც იმის გზას გადგომიხარ!" _ მეუღლის მისამართით გაიფიქრა.

ვაჟას ყველაფერი ესმოდა და ყველაფერს ხედავდა...

"ჩემი მამიკო, საბრალო მამიკო, როგორ მომენატრება", _ დარდში ჩაძირულიყო ეკა.

"რამდენ რამეს მპირდებოდა მამაჩემი, ახლა ვინღა შემისრულებს?" _ ცრემლი მოაწვა ერეკლეს (ვაჟას ვაჟს), _ "ჩემი მამიკო ძალიან მეცოდება, ძალიან დამაკლდება".

_ ვაი, შვილო, ვაი, შვილო, ეს რას მოვესწარი, დედა მოგიკვდეს, _ გულზე მჯიღს მონოტონურად ირტყამდა ლიდა.

ვაჟა დედამისს მიუცუცქდა. საოცრად სიამოვნებდა მშობელთან სიახლოვე. მოულოდნელად სამყაროში გაბნეული, აორღანებული მელოდია შეწყდა და ქვეყნიერება ისევ სიტყვამ მოიცვა:

"ვიცი შენი საქმენი: შენ არც ცივი ხარ, არც ცხელი. ო, ნეტა ან ცივი იყო, ან ცხელი!

მაგრამ რაკი ნელთბილი ხარ, არც ცივი და არც ცხელი, ამიტომ ამოგანთხევ ჩემი პირიდან.

ვინაიდან შენ ამბობ: მე მდიდარი ვარ, გავმდიდრდი და არაფერი მაკლია. ის კი არ იცი, რომ უბედური ხარ და საცოდავი, ღატაკი, ბრმა და შიშველი.

მე გირჩევ, იყიდო ჩემგან ცეცხლის განწმენდილი ოქრო, რომ გამდიდრდე, და თეთრი სამოსელი, რომ შეიმოსო და აღარ ჩანდეს შენი სიშიშვლის აუგი, და თვალის მალამო, რათა წაიცხო თვალებზე, რომ ხედავდე.

ვინც მიყვარს, მათ ვამხილებ და ვწვრთნი. აბა, ეშურე და მოინანიე".

ვაჟამ არნახული სიმძიმე იგრძნო, საკუთარ სხეულში ჩაეხეთქა და თვალებიც ჭყიტა.

_ ვუშველეთ! _ შეძახა ოფლში გათქვირულმა კარდიოლოგმა. _ ძმაო, გილოცავ! _ ულიმოდა ავადმყოფს.

_ რას? _ ძლივს ამოღერღა ვაჟამ.

_ იმ ქვეყნიდან მოგაბრუნეთ, _ აუხსნა ექიმმა და პალატიდან გულშემატკივრების გასახარებლად გაიჭრა.

ზუსტად ამ დროს მერაბი და სანდრო (ვაჟას მეგობრები) დერეფანში დაბრუნდნენ, ლიფტიდან ვახტანგი და ლევანი (ვაჟას მოადგილეები) გამოვიდნენ. მათ ექიმის შეძახილი "გადარჩა, ვუშველეთ!" _ შეეგება.

პალატიდან ექთანმა გამოიხედა:

_ ქალბატონო მზია, მეუღლე გეძახით.

_ მოვდივარ, _ წამოიძახა ქალმა და ვაჟასთან შევარდა. _ როგორა ხარ, ვაჟიკო. როგორ შეგვაშინე? _ საწოლის გვერდით ჩამოუჯდა, შუბლზე ხელი გადაუსვა.

_ დიდი ხანი ვიყავი გათიშული?

_ საათზე მეტი. თავს როგორ გრძნობ?

_ კარგად, _ გაიღიმა მამაკაცმა.

_ ვაჟიკო, სანამ გონებას დაკარგავდი, ბოლოს რა მითხარი, თუ გახსოვს? _ ცნობისმოყვარე მზერით შეაცქერდა ცოლი ქმარს.

_ მე თქვენ მიყვარხართ, _ ახლა უკვე გასაგებად ამოიჩურჩულა ვაჟამ.

_ აა, _ თავი გააქნია მზიამ.

ვაჟამ ისევ გაიღიმა, იგი ბედნიერი იყო, მაგრამ ამ ცხოვრებაში ბედნიერება არსებობს?

_ არა! _ იტყვით თქვენ.

მე კი გიპასუხებთ:

_ ჩემო მკითხველო, ღვთის მადლი, ანუ ბედნიერება ისაა, რომ ვაჟას, ბოლო წინადადების მეტი: _ მე თქვენ მიყვარხართ, აღარაფერი ახსოვდა.

ამ ამბავს, პირობას გაძლევთ, არავის მოვუყვები, ნურც თქვენ გაირჯებით _ ჩვენ შორის დარჩეს.

ბიგა ბიგიბერაშვილი საკარტველოს რემპიონია

ბოლო ხანებში სამტრედიელი მოჭიდავეების გამარჯვებების შესახებ მკითხველს ახლო ინტერვალებით ვაუწყებთ, რაც ძალიან გვახარებს. საქართველოს დედაქალაქში 13-15 თებერვალს გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში დიდებს შორის. სადაც სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბ "ფალავანის" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) სპორტსმენთა ნაკრები გუნდიც ღებულობდა მონაწილეობას. ჩემპიონატი წარმატებული აღმოჩნდა გოგა გოგიბერაშვილისათვის, რომელიც 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა და ჩემპიონობა არავის დაუთმო.

"სამტრედიის მაცნემ" აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა გოგა გოგიბერაშვილის პირად მწვრთნელს, მამუკა სტურუას: "ეს ჩემპიონატი საკმაოდ მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, იგი სპორტის ახალ სასახლეში გაიმართა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შეხვედრებს საერთაშორისო კატეგორიის მოწვეული მსაჯებიც სჯიდნენ. გოგამ 4 შეხვედრა გამართა და ოთხივე დამაჯერებლად მოიგო. ამ გამარჯვებით კი მან მოიპოვა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება, რომელიც სერბეთში 2-7 მაისს გაიმართება. ვულოცავ გოგას, საჭიდაო კლუბ "ფალავანს " და ჩვენს ყველა გულშემატკივარს ამ დიდ გამარჯვებას და ვუსურვებ მომავალში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების მოგებას."

ნათია ნაცვლიშვილი



"Kate-dent"-მა პროფესიული დღესასწაული აღნიშნა

ნინო ნანიტაშვილი

სტომატოლოგთა საერთაშორისო დღე სამტრედიელმა ექიმებმა სადღესასწაულო ცენტრ "დიგაში" იზეიმეს.

9 თებერვალი, როგორც სტომატოლოგთა პროფესიული დღესასწაული, ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოშიც მოდური გახდა. რაც შეეხება "Kate-dent"-ს, ისინი ორი წელია, ამ დღეს განსაკუთრებულ გარემოში ერთობლივად აღნიშნავენ.

ქეთევან პაპავამ წელს სტომატოლოგთა პროფესიული დღესასწაული ვიწრო წრეში, კლინიკის თანამშრომლებთან იზეიმა, თუმცა იდეაში აქვს, მომავალი 9 თებერვალი სამტრედიელ კოლეგებთან ფართო მასშტაბით აღნიშნოს: "ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია, ამიტომ შევალიე მას 40 წელი. 1977 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური ფაკულტეტი. დამთავრების დღიდან ვმუშაობ პროფესიით და ვმუშაობ სამტრედიაში. ასე რომ, მიყვარს სტომატოლოგობა და ჩემი ქალაქი. ამიტომ, პირობას გაძლევთ, თუ წლევანდელი 9 თებერვალი მხოლოდ ჩემი კლინიკის თანამშრომლებთან აღვნიშნე, გაისად სტომატოლოგიური კლინიკის და ყველა კერძო კლინიკის სტომატოლოგებს მოვიწვევ და განსაკუთრებულ დღესასწაულს მოვიწყობთ".

სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა იმ დღეს "დიგაში" სამტრედიელ ექიმებთან ერთად ეკა აბაშიძის ყოფნას. ცნობისათვის, ეკა სამტრედიელებისათვის წარსულში საყვარელი ქალბატონის, ექიმ-სტომატოლოგის, სტომატოლოგიური პოლიკლინიკის დამაარსებლის, ბაბორა ბუაძის შვილიშვილია. სწოდ მის სახელს ატარებს სამტრედიის სტომატოლოგიური კლინიკა.

ეკა აბაშიძე საქართველოს პარლამენტის თანამშრომელია. მან სიამოვნებით მიიღო ქეთევან პაპავას შეთავაზება, სტომატოლოგთა პროფესიული დღესასწაული ბებიის უმცროსი მეგობრის გარემოცვაში გაეტარებინა.

ეკა აბაშიძე: "უპირველეს ყოვლისა, "Kate-dent"-ს ვულოცავ სტომატოლოგთა საერთაშორისო დღეს, ვუსურვებ ბევრ კმაყოფილ პაციენტს. ხშირად მიწევს სამტრედიაში ყოფნა და სამტრედიელებთან კონტაქტი. ვისმენ ქეთევან პაპავას კლინიკის წარმატებების შესახებ საუბრებს და მიხარია, რადგან ქეთი არის ბებიაჩემის, ბაბორა ბუაძის და დედაჩემის, მზია გეგეშიძის საყვარელი კოლეგა. მინდა, გითხრათ, რომ ჩემს ოჯახში ამ პროფესიას დიდი დაფასება და თაობები ჰყავს: ბებიაჩემის შემდეგ ეს პროფესია დედაჩემმა, მზია გეგეშიძემ აირჩია და იგი იყო თბილისის № 2 სტომატოლოგიური კლინიკის მთავარი ექიმი. ჩემი და, ნინო აბაშიძე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური ფაკულტეტის პროფესორია. ეს პროფესია აირჩია ჩემმა დისშვილმაც, ის ამჟამად მოსკოვში ასპირანტია.

"დიგაში" უდიდესი სიამოვნება მივიღე, დინჯი ექიმები კლუბურ სიტუაციაში ვიხილე. კიდევ ერთხელ ვულოცავ მათ სტომატოლოგთა საერთაშორისო დღეს".

პროფესიულ დღესასწაულს საზეიმო ფერებთან და ფოირვერკთან ერთად ამშვენებდა ტორტი ლოგოთი.

მანანა კოპალეიშვილი, "Kate-dent"-ის ლაბორანტი: "ამ კარგ ადამიანებს 13 წლის წინ დავუკავშირდი. მეამაყება, რომ მეც ამ დიდი ოჯახის წევრი ვარ. ბედნიერებას მანიჭებს სტომატოლოგთა პროფესიული დღესასწაული, მინდა, ყველა ამ დარგის ექიმს მივულოცო ეს დღე და წარმატებები ვუსურვო".

შორენა თედიაშვილი "Kate-dent"-ის ახალი სახეა. იგი თერაპევტ-სტომატოლოგია. როგორც ქეთევან პაპავა ამბობს, მოკლე დროში მან პაციენტთა და თანამშრომელთა დიდი მოწონება და სიყვარული დაიმსახურა.

"ძალიან გამიმართლა, რომ ამ გუნდში მოვხვდი. ეს არის პროფესიონალ ადამიანთა ნაკრები, სადაც საქმიანობა მიხარია და ვიზრდები პროფესიულად", _ "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში დასძენს შორენა თედიაშვილი.

სტომატოლოგიურ კლინიკაში მისვლა პატარა პაციენტებს უსიამოვნო მოგონებად რომ არ დარჩეთ, "Kate-dent"-მა სიმამაცის სიგელი დააწესა მათთვის, ვინც ექიმს უშიშრად გაუღებს პირს, სტომატოლოგები ეკა მსხალაძე, შორენა თედიაშვილი, ვახო ბერეკაშვილი საზეიმო ვითარებაში გადასცემენ მათ სიგელებს.

"სამტრედიის მაცნე" შემთხვევით იმ მომენტს შეესწრო, როდესაც სამტრედიელ მარიამ მანჯგალაძეს ექიმი, ეკა მსხალაძე მამაცებს სიმამაცის სიგელს გადასცემდა.

სადღესასწაულო ცენტრი "დიგა" თავის იუბილარებს სილამაზის სალონ "ქეთათოს" 5 ლარიან ვაუჩერს გადასცემს. ასევე უფასოდ გადასცემს იუბილარის კარიკატურებს. გთხოვთ გვეწვიოთ, "დიგაში" სიახლეა.

მის: ნინოშვილის ქ. № 43
ტელ.: 577 50 96 50

"ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!.. ვიცინი, აღარ ვსტირი მე..."

ვულოცავთ!

ქალბატონ ლიზა კრავეიშვილს!
დაბადების დღეს გილოცავთ, უფალმა გაგაძლიეროთ.
ვეტერანთა რაიონული კავშირი

გილოცავთ დაბადების დღეს, წარმატებებსა და ღვთის წყალობას გისურვებთ.
"სამტრედიის მაცნე"

ბატონ კობა ციციშვილს!
დაბადების დღეს გილოცავთ, იხარეთ, იდღეგრძელეთ!
ვეტერანთა რაიონული კავშირი

გილოცავთ დაბადების დღეს, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში, გფარავდეთ ღმერთი!
"სამტრედიის მაცნე"

თაკო გოგიშვილს და ლუკა კიკაჩეიშვილს!

გილოცავთ გაბედნიერებას. ჯანის სიმრთელე, გაზაფხულივით ლამაზი სიყვარული და აკვნის სიმრავლე დაბედებოდეს თქვენს ნაადრევად შექმნილ ოჯახს.

"სამტრედიის მაცნე"

თამთა კეკელიძე ჩვენი საგაზეთო კონკურსის " გონების სავარჯიშო" გამარჯვებულია, ის მეორე საჯარო სკოლის (დირექტორი თეა კარტოზია) მოსწავლეა. თამთა რედაქციაში გვეწვია და გონების სავარჯიშოს ავტორმა მის მიერ დაწესებული პრიზი მას თავადვე გადასცა. თამთამ სულ ახლახან კიდევ ერთი წარმატება მოიპოვა. მან "სმარტის" მათემატიკის ოლიმპიადის ფინალურ ეტაპზე დააფიქსირა საუკეთესო შედეგი თავისი ქალაქის მასშტაბით და მიენიჭა სამტრედიის გამარჯვებული მოსწავლის სტატუსი. ის დაჯილდოვდა დიპლომით.

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა